ხუთშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 14 № 217
წელიწადი მეოთხე

ხუთშაბათი. 1918 წ. გიორგობისთვის 14 № 217
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერმოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

გერმანიის დელეგაციამ პარიზში დროებითი ზავი ჩამოაგდო შეთანხმების სახელმწიფოებთან და საომარი მოქმედებანი შესწყდა.

დროებითი ზავის პირობათა მიხედვით შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარები ახდენენ რეინის მარჯვენა ნაპირის ოკუპაციას.

საზავო პირობებში მოთხოვნილია გერმანიის სანაპიროთა ბლოკადა მუდმივ ზავამდე, ფლოტის ნაწილის გადაცემა შეთანხმების სახელმწიფოთა ხელში და ბელგეთ-ჩრდილო საფრანგეთის განთავისუფლება.

აღმოსავლეთიდამ გერმანიამ თავის ჯარს უკან უნდა დააბრუნოს 1914 წლის 1-ლ აგვისტოს საზღვრებამდე.

გერმანიაში რევოლუციური მოძრაობა ძლიერდება.

გერმანიის იმპერატორი და კრონპრინცი ჰოლანდიაში აპირებენ ცხოვრებას.

ჰინდენბურგი ახალ მთავრობის თანახმად ჰმოქმედობს.

გერმანული სოციალისტური პარტიები შეთანხმდნენ.

ახალ სახალხო მთავრობაში შედიან სოც. დემ. ებერტი, შეიდემანი, ლანდსბერგი და დამოუკიდებელი სოც. დემ. ჰააზე, დიტმანი და ბარტი. ებერტი და ჰაზე ლიდერებად ითვლებიან.

გერმანიის ზოგიერთ ქალაქებში დემონსტრაციები და გაფიცვები ხდება.

საქართველოს დროებითი დიპლომატიური წარმომადგენელი ბერლინში აკაკი ჩხენკელი გაემგზავრა ბერნში შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის გამოსარკვევად.

თავზარდაცემული მიხეილ ალექსანდრეს ძე მოლოდინი, თვისი მეუღლე თამარა იოსებ კორინთელის ასულით უზომო მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 გიორგობისთვეს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოდ გარდაიცვალა პირველის უსაყვარლესი და მანუგეშებელი დაი, ხოლო მეორისა სიყვარულით აღსავსე მული

**ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანისა**

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 ს., საკუთარ ბინაზე (ანჩისხატის ქ., სახლი № 5), გამოსვენება კვირას, 17 გიორგობისთვეს, ანჩისხატის ტაძარში დილის 10 ს. (2—1868—1)

ღრმად დამწუხრებული იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 გიორგობისთვეს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე მისი

**ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანისა.**

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე ანჩისხატის ქუჩა, № 5. დაკრძალვა მოხდება კვირას, 18 გიორგობისთვეს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ხოლო გამოსვენება ანჩისხატის ტაძარში დილის 10 საათზე. (2–1869—1)

## სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, გიორგობისთვის 18-ს—1918 წ.
**ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალი დასი ჰხსნის თავის სეზონს.**
წარმოდგენილ იქნება

## სარწმუნოება

მუსიკალური დრამა 5 მოქმედებად **ბრიესი.**
**პიესა რამდენჯერმე იქმნება წარმოდგენილი სხვა და სხვა ანსამბლით.**
მონაწილეობს მთელი დასი.
შემდეგი წარმოდგენები: „ლალატი“, „ბურუსი“, „მსხვერპლი“, „გვითა ფოთლები“ და სხვა.
რეჟისორი: გ. ჯაბადარი. ◆ ადმინისტრატორი: მიხ. ხერხეულიძე.
2—63—2

## სახელმწიფო თეატრი
### საოპერო დასი ევლახოვისა

**დღეს,** 14 გიორგობისთვეს ო. შულგინის, ბ. ზალიპსკის **და** ე. კრონსკის მონაწილეობით

## ვერტერი

4 მოქ. ოპერა მუსიკა **მასხენეს.**
**ფასები დაწეულია.**
**დირიჟორი ხტოლდერლები.** ◆ **დასაწყისი საღ. 8 ს. ძველი დროით.**

შაბათს, 15 გიორგობისთვეს მ. ალეშკოს, ვ. ბერეზინის, ფ. პოლიაევის და სხ. მონაწილეობით **„სოფლის სვინიდისი“**, შულგინის, ორდას, კონშინის მონაწილეობით: **„ჯამბაზები“**. კვირას დილით ტ. შკამბერგის, ვ. ბერეზინის და ვ. ნიკოლსკის მონაწილეობით **„ფაუსტი“**.

## ახალი ინტრიგა

ამ ბოლო დროს რუსეთის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მოუხშირეს ჩვენში სტუმრობა. ყოველი სტუმარი სასიამოვნოა, განსაკუთრებით თუ ის კეთილ განზრახვით მოდის. სამწუხაროდ რუსის პოლიტიკური მოღვაწენი სულ სხვა განზრახვით მოდიან ჩვენში. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა ჯერ კიდევ ამ პოლიტიკისათვის მაინც და მაინც სასიამოვნო მოვლენა არ არის. ისინიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა ხელი შეგვიშალონ ჩვენ აღმშენებლობით საქმეში და თუ მოხერხებული დრო ხელთ იგდეს, კიდეც მოსპონ მთელი ჩვენი ნაშრომი.

როგორც გაზეთი „ბორბა“ გადმოგვცემს ერთი ასეთი გასტროლიორი გვეწვია ამ დღეებში, ესაა ბ. მალიანტოვიჩი. თურმე ამ მოკლე დროში ეკატერინოდარში უნდა შეიკრიბოს რუსეთის ქალაქების და ერობათა წარმომადგენელნი, რომელთა მიზანია უფაში დაარსებულ რუსის მთავრობას მხარი დაუჭირონ ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

რასაკვირველია, ეს რუსთა საქმეა თავიანთ ქვეყანაში შეიკრიბონ, დარაზმდენ და იბრძოლონ თავიანთ პოლიტიკურ მიმართულებათა მიხედვით. მაგრამ რაშუაში აქ საქართველო? როგორ, ბ. მალიანტოვიჩმა უნდა მოიწვიოს საქართველოს ქალაქთა და ერობითა წარმომადგენელნი ამ წმინდა რუსულ კრებაზე? რისთვის? ძველი რუსეთის აღსადგენად? ბ. მალიანტოვიჩის ყოფაქცევა, მიზანი არის პირდაპირი შელახვა ჩვენი სუვერენობისა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასევე შეხედავენ ამ საქმეს ჩვენი ქალაქები და ერობანი. იმის იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ბ. მალიანტოვიჩის მიზანს ლა დაუყოვნებლივ მიიღებს შესაფერ ზომებს, რათა უცხოელ სტუმარს მოუსპოს შეძლება განაგრძოს არალოიალური, მავნე მოქმედება ჩვენს ტერიტორიაზე.

პ. სურგულაძე.

## ბათომის საკითხი

ოსმალეთის მთავრობას ამიერ კავკასიის დაპყრობილ ადგილებიდან თავისი ჯარი თანდათანობით გაჰყავს. მოსალოდნელია რომ ბათომის დაცლაც ადრე მოხდეს.

ჩვენის აზრით ბათომის ოკუპაცია საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა უნდა მოახდინოს დაუყონებლივ, როგორც კი ოსმალეთის უკანასკნელი ასკერი დასტოვებს ქალაქს. შეიძლება ოსმალეთი ამ კითხვის შესახებ სხვა გზას დაადგეს და სტამბოლის წინასწარ მოლაპარაკების დროს ეს საგანი ჩვენი ინტერესების მიხედვით არ გადასწყდეს. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როცა ინგლისი და მისი მოკავშირეები ადგილობრივათ გაეცნობა საქმის ვითარებას გვერდს არ აუხვევენ საქართველოს საარსებო ინტერესებს და სტამბოლის წინასწარი მოლაპარაკების გადაწყვეტილებას ჩვენდა სასარგებლოდ შესცვლიან.

მიღებულ ცნობების მიხედვით ამიერ კავკასიის მაჰმადიანობას ოსმალეთის ემისარები, „ქრისტიანების“ შემოსევით აფრთხობენ, ამას ხელს უწყობს აგრეთვე სომხების აშკარა თუ ფარული აგენტების მოქმედება და ამის გამო კავკასიიდან მიმავალ ასკერებს თან მისდევს საკმაოდ დიდი რიცხვი მშვიდობიან მოსახლეობისა.

სომხის მოსახლეობასთან მომიჯნავე ქართველ მუსულმანობაშიც ასეთი აგიტაცია ნიადაგს ჰპოულობს და თუ პროვოკაციას საზღვარი ადრევე არ დაედვა, ბედის ანაბარათ მიტოვებული ქართველობა მისი მსხვერპლი გახდება. სომხები, რასაკვირველია, ყველაზე ადრე შეეცდებიან კოლონიზაციის მოწყობას სამუსულმანო საქართველოში და, თუ მხედველობაში მივიღებთ სომხების კოლონისტობის თვისებებს, ჩვენთვის საეჭვო არ იქნება, თუ როგორი სისწრაფით შესძლებენ თავიანთ განზრახვების ცხოვრებაში გატარებას.

ამ შემთხვევაში საზავო კონფერენციის დროს ჩვენ საქმე გვექნება ჭოროხის და აჭარის—წყლის ხეობებში მოწოლილ სომხის მოსახლეობასთან. ეს ახალი ფაქტი საზავო კონფერენციაზე უთუოდ გავლენას იქონიებს ჩვენი ნაციონალური კითხვის გადაჭრის დროს და შეიძლება მას საბედისწერო მნიშვნელობაც ექმნეს ჩვენთვის. მოლონიერებულ და სახელმწიფოებრივად მოწყობილი ერის სტიქიური მიდრეკილება უპირველესად ყოვლისა ზღვისკენ იქნება.

სად დაიწყებენ ზღვის კარების ძებნას სომხები!?

ტრაპიზონი მეტათ შორს არის სომხეთის სახელმწიფოებრივ ზონისათვის და მასთან არც პოლიტიკური კონიუნქტურა იქნება საამისოთ ხელსაყრელი.

ჩვენ არ ვფიქრობთ რომ სომხებმა საერთაშორისო კონფერენციაზე ამთავითვე პრეტენზიები განაცხადონ ბათომის შესახებ. მაგრამ არსებობს ერთი ვარიაცია ბათუმის საკითხის გადაჭრისა, რომელიც ზედმიწევნით ხელსაყრელი იქნებოდა სომხებისათვის, ხოლო ჩვენი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით კი ყოვლად შეუწყნარებელი. ჩვენთვის ერთნაირად საზარალო იქნება: დარჩება ბათომი და მისი ახლო პროვინციები რომელიმე დიდი სახელმწიფოს ხელში, თუ იქ პორტოფრანკოს გამოაცხადებენ. სომხებისათვის ორივე კომბინაცია ზედ მიწევნით ხელსაყრელია, ვინაიდან თუ უშუალოდ არა სხვისი „კეთილ-მეზობლურ განწყობილებით“ მაინც მათ ზღვაში გასავალი ექნებათ.

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, ქართველი ერის შეხედულება ამ საგანზე შეურყევია.

ბათომი ჩვენი სარკმელია და მისი დახშობა ან სხვის ხელში დარჩენა საქართველოსთვის სიკვდილის მომასწავებელი იქნებოდა.

საქართველოს მთავრობამ ამ თავითვე უნდა მიიღოს შესაფერი ღონისძიებანი დიპლომატიური თუ სხვა საშუალებით, რომ სამაჰმადიანო საქართველო ბათომითურთ დაუყონებლივ ჩვენს ხელში გადმოვიდეს. საჭიროა აგრეთვე შესაფერი ზომების მიღება, რათა ქართველი მაჰმადიანობა ოსმალეთის ემისარებისა და სომხების აგენტების პროვოკაციისაგან დავიფაროთ.

კ. სიორიძე.

## პრესსა

### შესაძლებელია თუ არა რუსეთის აღდგენა?

ჯანსაღმა ქართველმა დემოკრატიამ თანდათან გეძო გაულო ეროვნულ თავისუფლებას. თუ ამ სამიოდე თვის წინად ბ. ევგ. გეგეჭკორის ტიპის პოლიტიკოსები უცხოელებთან მოლაპარაკების დროს თავში ხელებს იშენდნენ და წინასწარმეტყველ იერემიის მსგავსად დიდს რუსეთს მისტიროდნენ, დღეს გაზეთ „ერთობის“ პუბლიცისტები სკეპტიკური და რეალისტური ანალიზის ნიჭს იჩენენ და ანდრინდელი დიდი რუსეთის აღდგენას არა თუ შეუძლებლად, დიდად მავნებლადაც სთვლიან.

„ბევრი ავანტიურისტი და სოციალისტური სამოსელში გახვეული იმპერიალისტი ინგლის-ამერიკისაგან მოელის რუსეთის აღდგენას. ამის საფუძველს თითქოს ვილსონის ნოტაც იძლევა. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ბურჟუაზიამ უკვე დაჰკარგა ის შეუზღუდავი ძალაუფლება, რომელიც მას დღემდე ჰქონდა და ამერიკა ვერ ითამაშებს უკანტროლო დირიჟორის როლს. აღდგენა რუსეთის ძველ საზღვრებში არავითარ ძალას არ შეუძლია. პირიქით, პრესა ჩვენ ცნობებს გვაძლევს იმისას, რომ გარეშე სახელმწიფოების ჩარევა უნდა მოხდეს რუსეთის საშინაო საქმეებში. როგორც ვიცით, ბალტიის მხარედან გერმანიას ჯარები გაჰყავს, მაგრამ სახელმწიფოებს სამართლიანი შიში აღძვრიათ—ვაი თუ გერმანიის ჯარების გაყვანის შემდეგ იქ ბოლშევიკური ჯარები შევიდნენო და გადაწყვეტიათ საერთაშორისო შერეულ რაზმის შედგენა და ბალტიის პროვინციებში ჩაყენება, და რომ ბალშევიკებს ამ მხრით არავინ არ შეიბრალებს, ეს სჩანს იქიდანაც, რომ სწორეთ პარლამენტარულ წყობილების შემოღების შემდგომ იქნა ბერლინიდან გაძევებული ბალშევიკი იოფფე და მისი კომპანია. სხვანაირად არც შეიძლება. რუსეთში დღეს ორი თვალსაჩინო ძალაა: ერთი რეაქციონური ალექსეევ-დენიკინის ტიპის, ხოლო მეორე ანარქისტულ-რევოლიუციონური ლენინის მეთაურობით. და თუ რამდენად ანარქისტულია ბალშევიკური მიმდინარეობა ეს სჩანს იქიდან, რომ ლენინმა რენეგატის სახელით მონათლა გერმანიის ს.-დემოკრატიის ერთი ბელადთაგანი — მცხოვანი კარლ კაუცკი.

ცხადია, რუსეთი ამა თუ იმ სახით უცხო სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ მოჰყვება. და ეს გარემოება გვავალებს ჩვენ, რომ ყოველივე ღონე ვიღონოთ, რათა არ დაირღვეს ჩვენში დემოკრატიული წეს-რიგი და ანარქიამ არ მოშალოს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ორგანიზმი“.

⁂

**„ორიზონის“ დახურვის გამო**

მეორე ორგანო დაშნაკელების „აშხატავორი“ „ორიზონის“ დახურვის გამო შემდეგს სწერს:

„თბილისის გენერალ-გუბერნატორმა „უმაღლესი“ ბრძანებით, იმ კადნიერებით და გულადობით, რომელიც სჩვეოდათ თვითმპყრობელ და თავისმოყვარე იმპერატორებს, „ღვთის წყალობით დახურა გაზეთი „ორიზონი“.

ბევრ უკანონო, ანტიდემოკრატიულ, კონტრ-რევოლუციონურ ნაბიჯებს ქართველი მთავრობისას, რომელიც თავის თავს უწოდებს „დემოკრატიულს“, მიემატა კიდევ ერთი. გუშინ გაზეთებს ხურავდა შინაურ საქმეების მინისტრი, დღეს (ალბად საქმის გასაადვილებლად) ცნობილი გუბერნატორები გამოდიან ძველი ნაცნობი მოტივებით და ნაცნობი გუბერნატორის არშინით იკვლევენ პრესის პოლიტიკურ კეთილსაიმედობას, რომ გამოარკვიოს „სასარგებლო“ და „საზარალო“ მოქმედება...

ძალადობა და თვითნებობა—ეს ორი სიტყვა ახასიათებდა უწინ მთავრობის ყოფაქცევას. იგივე ახასიათებს დღეს პრემიერ-ჟორდანიას გუბერნატორულ ნაბიჯებს...“

ამ სიტყვების შემდეგ მოსალოდნელია, რომ „აშხატავორსაც“ არ ასცდება დახურვა; მაგრამ მაშინ ალბად „ახალი ორიზონი“ დაიწყებს ამისთანავე კადნიერ ფილიპიკებს; მაგრამ დრო არის, რომ საქართველოს მთავრობამ ბოლო მოუღოს ამ „თეთრ ხარის“ ზღაპარს... ამით ის უფრო დაიცავს თავის პრესტიჟს...

## მთავრობის წრეებში
### იუსტიციის სამინისტროში
**საკოდიფიკაციო განყოფილების მომავალ საქმიანობისათვის.**

იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებულ საკოდიფიკაციო განყოფილების მომავალ საქმიანობის შესახებ. სამინისტროს იურისტკონსულმა ვ. ა. დემიდოვმა შემდეგი მოხსენება მოართვა იუსტიციის მინისტრის ამხანაგს გრ. ივ. გველესიანს, რომელსაც დაკისრებული აქვს ხსენებულ განყოფილების გამგებლობა.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 22 ოქტომბრის მე-71 №-ში გამოქვეყნებულია კანონი იუსტიციის სამინისტროსთან საკოდიფიკაციო განყოფილების დაარსებისა. ეს კანონი ძალაში შედის მიღებული წესის თანახმად, ამა წლის 30 ოქტომბერს და ამიტომ ამასთანავე წარმოგიდგენთ ჩემს მოსაზრებას საკოდიფიკაციო განყოფილების მოქმედების შესახებ.

ყოვლის უწინარეს უნდა გამოიცეს „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული“. კრებულში უნდა დაიბეჭდოს ყველა ის კანონი და განკარგულება, რომელიც მიღებულია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდგან, ე. ი. 1918 წ. 26 მაისიდან. ყოველს კანონს ექმნება თავისი სათაური და ნომერი მუხლი (статья); აგრეთვე აღნიშნული იქნება კანონის გამოცემისა და ძალაში შესვლის დრო. ამასთანავე სათაური და ნომერი მუხლი, გამოცემის დრო და მთავრობის ან სამინისტროს ნომერი ექმნება მთავრობის განკარგულებას. კრებული უნდა გამოიცეს ქრონოლოგიურის წეს-რიგით, ე. ი. იმ გვარად, როგორც გამოდიოდა რუსეთში „Собр. узак. и расп. Правительства“, მხოლოდ გამოცემის სისტემაში შემდეგი ცვლილება უნდა მოვახდინოთ.

რუსეთის „კანონთა და განკარგულებათა კრებული“ შესდგებოდა ორის ნაწილისაგან: პირველ ნაწილში მოთავსებული იყო ერთად კანონები და მთავრობის განკარგულებანი, ხოლო მეორეში—მთავრობის და სამინისტროების მიერ დამტკიცებული წესდებანი. ეს წესი შემოღებული იყო რუსეთში მაშინ, როდესაც კანონსა და

განკარგულებას შორის არსებითი განსხვავება არ იყო. 1905 წ. რუსეთში რევოლიუცია მოხდა, საკანონმდებლო წესი შეიცვალა, შემოღებულ იქმნა ხალხის წარმომადგენლობა. მას შემდეგ რუსეთში კანონსა და განკარგულებას შორის ღრმა განსხვავებაა. კრებულის სისტემა-კი ძველებური დარჩა.—ჩემის აზრით, ჩვენში ეს სისტემა უნდა შეიცვალოს: ჩვენი კრებული, როგორც რუსეთში 2 ნაწილისაგან უნდა შესდგებოდეს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პირველს ნაწილში უნდა მოვათავსოთ მხოლოდ კანონები; ამავე ნაწილში უნდა იყოს დაბეჭდილი პარლამენტის ეროვნული საბჭოს რეგლამენტი, თუმცა იგი არც ფორმის მხრივ და არც არსებითად კანონად არ ჩაითვლება. ამისდა მიუხედავად, რეგლამენტი კანონთა ნაწილში უნდა მოთავსდეს იმ მოსაზრებით, რომ იგი ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულია და აგრეთვე ამას ხალხის წარმომადგენლობის ღირსება მოითხოვს. მეორე ნაწილში უნდა იყოს მოთავსებული მთავრობისა და ცალკე სამინისტროების განკარგულებანი, ინსტრუქციები, სავალდებულო დადგენილებანი და ბრძანებანი, ეს განკარგულებანი დაიბეჭდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იმათ ზოგადი სავალდებულო ხასიათი ექნება. რაც შეეხება წესდებას, ის უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მთავრობის ან მინისტრის მიერ არის დამტკიცებული. წესდებანი-კი უნდა დაიბეჭდოს მეორე ნაწილში მთავრობის განკარგულებებთან ერთად.

26 მაისიდან უკვე დღემდე გამოცემული საკანონმდებლო მასალა უნდა მოვათავსოთ სამს ნომერში: პირველში იქმნება მოთავსებული კანონები და განკარგულებანი 26 მაისიდან ვიდრე პირველ აგვისტომდე, მეორეში აგვისტოს და სექტემბრის კანონები და განკარგულებანი, მესამე ნომერში-დანარჩენი მასალა.

როდესაც ზემოხსენებული სამი ნომერი დაიბეჭდება, უნდა შევუდგეთ დროგამოშვებით იმ მასალის დასტამბვას, რომელიც შემდეგში დაგროვდება, მასალის რაოდენობის მიხედვით.

ამ წლის ბოლოს კრებულში მოთავსებული იქმნება სამნაირი სარჩევი: ანბანზედ დაწყობილი—საგნობრივი, ქრონოლოგიური და სისტემატიური.

ვ. დემიდოვის მოხსენება დადასტურებული საფუძვლად დაედება საკოდიფიკაციო განყოფილების მომავალს საქმიანობას.

**ხომხურ-რუსულ პრესის მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის გამო.** იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა თბილისის ოლქის სასამართლოს პროკურორს, რომ სისხლის სამართალში მისცეს ყველა ის რედაქტორები იმ გაზეთებისა, რომელშიც მოთავსებულ იყო ან მოთავსებული იქნება მთავრობის წინააღმდეგ მიმართული წერილები და მავნე აგიტაცია, განსაკუთრებით ლტოლვილთა საკითხის გარშემო.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო სთხოვს იუსტიციის სამინისტროს გაუგზავნოს მოხსენება იმ მოხელეთათვის, კრედიტის გახსნის შესახებ; რომელნიც ომის გამო მიტოვებულ ადგილებიდან გადმოყვანილ იქმნენ საქართველოში.

**შინაგან საქმეთა სამინისტრო**

სომეხთა ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ლტოლვილთა კომიტეტმა თხოვნით მიმართა საქართვ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს მოახდინოს სათანადო განკარგულება ბორჯომში მყოფ ლტოლვილთა შაქრის საწყობის რეკვიზიციისაგან განთავისუფლებისათვის.

—

ფოთის მეციხოვნეთ უფროსი პოლკ. ჩხეიძე აცნობებს შინაგან საქმეთა მინისტრს რომ ფოთში ჩასულან 30 კაცი ოფიცრები და ჯარის კაცები, რომელნიც მიდიოდენ ასტრახანის ჯარში, მათ მოწმობა ჰქონდათ გერმანიის სამხედრო მისიისა. სთხოვს აცნობოს გაუშვას თუ არა ისინი ასეთი მოწმობით.

—

ბაკურიანიდან. მთავრობის რწმუნებული რუხაძე სთხოვს მთავრობას გახსნან თბილისში ლტოლვილთა ბავშვთათვის თავშესაფარი. ლტოლვილ ბავშვთა რიცხვი ბაკურიანში 300 აღემატება.

—

ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობა აუწყებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ მათ მიმართა მოქალაქე პეშტემალჯიანცმა, რათა ნება მისცენ იბეჭდებოდეს ახალი გაზეთი „ჩვენი სიმართლე“ ქართულ რუსულ ენაზე. გაზეთი რუსეთის კომუნისტური პარტიისაა. სთხოვს აუწყოს შეიძლება თუ არა ასეთი ორგანო იბეჭდებოდეს.

—

ყარაიაში ქართველ გლეხთა ჩამსახლებელი კომიტეტი ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ყარაიაში გადმოდიან ადერბეიჯანიდან შეიარაღებული მუსულმანები და ძარცვავენ მშვიდობიან მცხოვრებთ. ისინი მოითხოვენ რაც შეიძლება მალე აღდგენილ იქნეს სადარაჯოები საზღვრებზე, რომ ასეთი თავდასხმა კვლავ აღარ განმეორდეს.

## აკაკი ჩხენკელი

საქართველოს ელჩი გერმანიის მთავრობასთან აკაკი ჩხენკელი ბერლინიდან ბერნში გაემგზავრა, რათა მოლაპარაკება გამართოს შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან საქართველოს შესახებ და გამოარკვიოს მათი დამოკიდებულება ჩვენს რესპუბლიკასთან.

# ქრონიკა

**მილიციონერთა თავგასულობა.** შაბათ საღამოს სახლში მიმავალ გ. მაისურაძეს დაჰხვდნენ მე 6 კომისარიატის მილიციონერები: უკუჩავა, გამრეკელი და სამი სხვა. მათ სროლა ასტეხეს, სცემეს და ფულიც წაართვეს. მე-6 უბნის კომისარმა უკუჩავას იარაღი აჰყარა.

**ბათუმში შესვლა.** სამხედრო მინისტრმა ბრძანება გამოსცა, რომ ბათუმში გაუშვებენ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ექნებათ სამხედრო სამინისტროდან თვით მინისტრის ხელმოწერილი მოწმობა.

**ექიმთა კრება.** გუშინ ექიმ ზანდუკელის მეთაურობით ექიმთა კრება მოხდა. საგანი კრებისა იყო ესპანიური ავადმყოფობა. კრებამ გამოარკვია რომ ეს არ არის ეპიდემიური ავადმყოფობა, არამედ უბრალო ინფულენცია.

**მაჰმადიანთა ეროვნული საბჭო.** ადერბეიჯანის რესპუბლიკის საინფორმაციო ბიურო იტყობინება, რომ ყოფილ მაჰმადიანთა ეროვნული საბჭო რომელიც დაიშალა ამა წლის ივნისს განჯაში, ხელახლა იკრიბება ბაქოში 16 გიორგობისთვეს, როგორც ეროვნული პარლამენტი ადერბეიჯანის რესპუბლიკისა.

**ხომხური გაზეთები ადერბეიჯანში.** განჯიდან იტყობინებიან, რომ ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრებში აკრძალეს სომხურ გაზეთების გავრცელება.

**გერმანული ენის კურსები სამხედრო პირთათვის.** 1918 წლის გიორგობისთვის 20-დან ქართულ-გერმანულ-კულტურის საზოგადოების ხელმძღვანელობით, თბილისის სამხედრო სასწავლებელში, გაიხსნება გერმანული ენის კურსები ყოველნაირი სამხედრო პირთათვის.

**ქართული ლატარია.** ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირთა გამგეობამ ასიათასი მანეთის ბილეთი დაიგზავნა კოოპერატივებში გასავრცელებლად.

**ზუგდიდის თვითმართველობამ** ლატარიას კომისიას ზუგდიდსა და სენაკს შუა მიმოსვლისათვის უფასოდ დაუთმო თავისი ავტომობილი.

**ქ. ხაშურის თვითმართველობის** გამგეობამ ქალაქისათვის ასი თუმნის ლატარიის ბილეთები შეიძინა.

**სოც.-დემოკ. პარ. წარმომადგენელთა ყრილობა.** გუშინწინ სილიბისტრო ჯიბლაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენელთა ყრილობა. თავმჯდომარედ აირჩიეს კარლო ჩხეიძე. შეტანილია 14 საკითხი. ყრილობა 5 დღეს გასტანს.

**მინისტრის მორჩენა.** შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი სრულიად მორჩა ავადმყოფობიდან და ამ დღეებში სამსახურის აღსრულებას შეუდგება.

**ჟურნალი „ARS“-ი.** რუსული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „Ars“-ი იანვრიდან ხელახლა გამოვა ახალი რედაქციით და ახალივე ფორმატით.

**სახელმწიფო უნივერსიტეტი.** სახელმწიფო უნივერსიტეტში გუშინ იაფ-ფასიანი სახაე გაიხსნა.

**სატუსაღოები.** ამ ჟამად თბილისის ყველა სატუსაღოებში 1200-ზე მეტი ტუსაღია. მოუვლელობის გამო ყოველ-დღე 20 კაცამდე ავად ხდება.

**ლტოლვილთა საქციელი.** სართიჭალის უფროსი დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მესამასე ვერსზე აგებულ ხიდის ფარდულებს სომეხი ლტოლვილები შეშის უქონლობის გამო სჩეხავენ და სწვავენ, ასე რომ ამ ერთ თვეში ხის ფარდულებიდან არაფერი არ დარჩება, რაც ძლიერ დიდ ზარალს მოუტანს ხაზინას.

## ძევის ხიდი

რკ. გზის საერთო საქმეთა მმართველის ფიცხელაურისაგან სად. ძევიდან შემდეგი დეპეშები მიიღო გზათა მინისტრმა: 1) „11 გიორგობისთვეს ნაშუადღევის 1 საათზე ოთრქლმავალი 7 დატვირთულ ვაგონით მშვიდობიანათ გავატარეთ ხიდზე. შევუდგეთ სამგზავრო მატარებლების გატარების საქმეს № 4-სა და მის შემდეგ სახალხო მატირებელ № 23-სა“. ეს დეპეშა დილის 15 ს. 5 წ. არის გამოგზავნილი. მეორე დეპეშა ქვეით მოყვანილი ერთი საათის შემდეგ. 2) „სამგზავრო მატარებელი № 4 მშვიდობიანად გავატარეთ, პირდაპირი მოძრაობა გაიხსნა.

გზათა უფროსის თანაშემწე ინჟ. კენგემ შემდეგი განკარგულება გასცა თბილისსა და ფოთს შუა სადგურების უფროსთა სახელზედ: „მე-262 ვერსზე დაზიანებულ ძევის ხიდის სრულ შეკეთების გამო 12 გიორგობისთვიდან დადგენილია სწრაფ მატარებელ № 1 და № 2 მიმოსვლა თბილისსა და ფოთს შუა გამოცხადებულ დროზე. მატარებელი № 2. რომელიც დღემდე სად. ხაშურში იდგა 12 გიორგობისთვიდან უნდა გამოშვებულ იქმნეს თბილისისაკენ თავის დროზე“.

—

გზათა მინისტრმა შემდეგი ტელეფონოგრამა გაუგზავნა მთავრობის თავმჯდომარეს:

„მოგახსენებთ, რომ ძევის ხიდი იმ ზომამდეა აღდგენილი, რომ მასზე განუწყვეტელი მოძრაობა შეუფერხებლივ შესაძლოა, გუშინ 11 გიორგობისთვეს ხიდზე მშვიდობიანათ გავატარეთ ექვსი მატარებელი. რკინის ნაწილების საბოლოო შემაგრების საქმე ძლიერ ნაყოფიერად სწარმოებს.

## მინერალურ წყლის მადნები

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მინერალურ წყლის მადნების მისალებად შემდგარი იყო 5 კომისია: 1) კახეთისა (სიღნაღ-თელავ-თიანეთის მაზრები) 2) დუშეთ-თბილის-ბორჩალოს; 3) შორაპან-გორისა; 4) ქუთაის-რაჭისა და 5) ოზურგეთ-სენაკ. ზუგდიდისა. ამ კომისიებს დღემდე მიუღიათ: პირველს: ა) ახტალის ტალახიანი მადნები და ბ) შაქრიანის სამინერალო ადგილები: მეორეს: 14 მადნეული, მათ შორის კერძო მესაკუთრეთა 2 და სახელმწიფო მიწაზე 12-მესამეს: 7 მადნეული, მათ შორის კერძო მესაკუთრის 1 (ძამურისა). მეოთხეს—3 ოზურგეთის მაზრაში, 2 სენაკისაში და ზუგდიდისაში.

მეხუთე კომისიას მიუღია ყველა მინერალურ წყლის მადნები ქუთაისის მაზრაში რაჭის მინერალურ წყლის გამოკვლევა მომავალ წლისთვის გადაიდო. თბილისის კომისიას მიუღია ორი ტბა გლაუბერის მარილისა ს. მალხაზოვკასთან: „გრძელი ტბა“ და „სახარე ტბა“. ეს ტბები იჯარით გაიცემა გლაუბერის [illegible] მუშავებლად. სულ [illegible] ლობით რამოდენიმე მილიონი ფუთი მარილია.

## „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის ცენტრ. კომიტეტის მოწოდება

„დაშნაკცუტიუნის“ ცენტრ. კომიტეტის ორგანოში გაზ. „აშხატავორში“ დაბეჭდილია შემდეგი მოწოდება:

ამ უკანასკნელ დღეებში, რაღაც მომხდარ ამბების გავლენით ქართული გაზეთები და კერძოდ „ბორბა“ და „ერთობა“, აგრეთვე საქართველოს პარლამენტიც თავის უკანასკნელ სხდომებზე ერთხმად—ლაპარაკობდნენ რაღაც აჯანყებაზე და შეთქმულებაზე საქართველოს რესპუბლიკის და მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ამასთანავე ახდენენ საგანგებო განცხადებებს და განკარგულებებს.

მხედველობაში ვიღებთ, რომ ამ მოქმედებასთან ერთად, თუმცა კი არა პირდაპირ, მაგრამ მაინც იხსენიებენ აგრეთვე სომხურ რევოლიუციურ პარტიის „დაშნაკცუტიუნის“ სახელს, და ამის გამო „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის ცენტრალ კომიტეტი მოვალედ ჰრაცხს განაცხადოს, რომ რამდენადაც ამ ხმებს და ეჭვებს სომხის რევოლუციონურ პარტიას „დაშნაკცუტიუნს“ უკავშირებენ, იმდენად ეს ხმები უღირსი პროვოკაციაა.

კომიტეტი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ყოველთვის პარტიული ორგანიზაციების გადაწყვეტილებები და პრესა და მთელი პროპაგანდა და ყველა ინსტრუქციები ერთხმად და შეურყევლად მიმართული იყო განსაკუთრებით საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასაცველად და განსამტკიცებლად.

ჩვენ პარტიას აროდეს არავითარი საბუთი არ მიუცია ასეთი უღირსი ეჭვებისათვის, არც პროგრამული პრინციპიალური, არც ტაქტიკური მოსაზრებით არ შეეძლო პარტიას ჰქონოდა ინტერესი ან საბუთი, ან მიზანი, რომ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ გადედგა ასეთი უაზრო და ანტი-დემოკრატიული ნაბიჯები, როგორიც არის „აჯანყება“ და „შეთქმულება“,

ამით ჩვენ გადაწყვეტით უარვყოფთ ამგვარ გამოგონილ ინსინუაციებს და კერძოდ ვაცხადებთ გულისწყრომას გაზ. „ბორბას“ პროვოკაციის გამო:

„— თავის პოლიტიკური ინტრიგე-

## სასოფლო მეურნეობის პოლიტიკა

შედარებით ადვილია ქალაქებსა და სამრეწველო თუ საალებ-მიმცემო პუნქტებზე ეკონომიურ პოლიტიკის დაყრდნობა, მით უფრო თუ ეს პოლიტიკა ფულის ნიშნების ტრიალსა თუ დაგროვების საქმეს ემსახურება. სოფელი კი იმდენი განცალკევებული ეკონომიური ინდივიდისაგან შესდგება, რამდენიც შიგ მცხოვრებია. სოფლად გაფანტული ფულის ნიშნების ტრიალის დამორჩილება ცენტრის კარნახისათვის უფრო ძნელია, თუმცა ფინანსიური ახალი ტეხნიკისათვის ეს ადვილად ხდება. ეხლა ფული სოფლად არ წარმოადგენს მოხმარებით ანუ ყიდვით ძალას, არამედ უფრო „ფუფუნების ძალას“, რადგან სოფლის მწარმოებელი, დიდი თუ პატარა, საწარმოო საშუალებათა შესაძენათ კი ვერ ხმარობს ფულს, არამედ მხოლოდ პირადი საჭიროებისათვის ფული აიგვარად სამეურნეო თვალსაზრისით ან უნაყოფოდ იფლანგება, ანდა გროვდება სოფლის კერძო ოჯახებში ქოთნებსა და სკივრებში. ეს კი არც სახელმწიფოსათვის და არც კერძო წარმოებისათვის სასარგებლო არ არის.

სამაგიეროდ თვით სოფლის მწარმოებელთა წრეში დაიბადა დიდათ სასარგებლო აზრი: მწარმოებელთა საზოგადოებების დაარსება სასოფლო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის აქციონერულ თუ ამხანაგოებთა ნიადაგზე დასამუშავებლად. ქართლ-კახეთიდან და იმერეთიდან რამოდენიმე ცნობები მაქვს კიდეც ამის შესახებ. დაჟინებით მეორდება ყველა მხრიდან შეკითხვები, თუ რამდენად სასარგებლო და საიმედო იქნება ასეთი საქმე და საშიშო ხომ არ იქნება მთავრობის მხრივაო. ეგ უკანასკნელი პუნქტი უფრო აფერხებს საქმის დაწყებას. ყველგან გაურკვევლობაა, მწარმოებელი უნდოთ ეკიდება ახალ ტიპის ორგანიზაციას მხოლოდ მიტომ, რომ დარწმუნებული არ არის მთავრობის მისდამი კეთილგანწყობილებაში. მეორე, ეს თვით მიწის საკითხია. აქციონერულს საზოგადოებებს თუ ამხანაგობებს, რომელნიც შესდგება მწარმოებელთა მიერ, შედარებით დიდი თანხა ექნება, რომელთა საფუძვლიანი მოთავსება სასოფლო მეურნეობაში გულისხმობს ფართო ინტენსიურ წარმოების გაჩაღებას: ვაზისა, დაფნისა, თხილისა, ხილის ბაღებისა, თამბაქოისა, ჩაისა და ბამბის მოშენების დარგებში. არის სოფლები იმერეთში, სადაც მხოლოდ შავ-ქლიავის ბაღებს აშენებენ, ზოგი საზოგადოებები კი თუთის ხეების ბაღებათ არის გადაქცეული. თუ ეს საქმე ფართო სააქციონერო ნიადაგზე მოეწყო, ცხადია, 7 და 10 დესეტინა, კანონით ნება-დართული მფლობელობისათვის, სრულიად ვერავითარ ნიადაგს ვერ შექმნის მაღალ კულტურის მეურნეობისა ე. ი. მევენახეობისა, ბაღოსნობისა, მეაბრეშუმეობისა და პლანტაციებისათვის, რისთვისაც ჩვენი ქვეყანა ბუნებრივად ზედ გამოჭრილია თვისი ჰავითა და ნიადაგით.

ჩვენი სასოფლო მეურნეობა ნორმალ განვითარების წლებში, ომამდე, თანდათან დევნის თავის წიაღიდან დაბალ ხარისხის მცენარეთ და ეკიდება მაღალხარისხიანს.

მაგ. ავიღოთ ბამბა. ქუთაისის გუბერნიაში დაითესა:

| | |
|---|---|
| 1909 წ. | 850 დეს. |
| 1910 „ | 1900 „ |
| 1911 „ | 2750 „ |
| 1912 „ | 2780 „ |
| 1913 „ | 2400 „ |
| 1914 „ | 3700 „ |

მთელი ეგ ხუთი წლის პერიოდი ნათლად მოწმობს თუ რაოდენ ჩქარის ნაბიჯით მიიწევს წინ კულტურა ქუთ. გუბერნიაში;—ხუთი წლის განმავლობაში მთელ 335 პროც. გაზრდილა ბამბის მეურნეობა. დაუმატეთ, რომ საუცხოვო ნიადაგსა და ჰავას წარმოადგენს ბამბისათვის ქუთ. გუბერნია, რომელიც ამ კულტურას უმწვერვალესობამდე განავითარებს თუ მართვე-ლობამ ხელი შეუწყო.

იგივე ბამბის კულტურა თბილისის გუბერნიაში:

1909 წ. 520 დ. 1912 წ. 5370 დ.
1910 წ. 1600 დ. 1913 წ. 5100 დ.
1911 წ. 5000 დ. 1914 წ. 8200 დ.

გაცილებით უფრო ღონიერად გაშალა ფრთა ამ კულტურამ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც იმავე პერიოდში მთელი 1392 პროც. მატულობს კულტურის სივრცე.

მთელს საქართველოში ბამბის კულტურის სივრცე გაზრდილა ხუთი წლის განმავლობაში თითქმის 760 პროცენტით, ასეთი ჩქარი ნაბიჯით მიიწევს წინ მაღალ კულტურის სხვა მეურნეობის მოშენებაც. მაგ. ავიღოთ თამბაქო.

სოხუმის ოლქში 1908 წ. თამბაქოს პლანტაციებს ეჭირა მხოლოდ 4.679,4 დესეტინა, 1915 წელს კი უკვე ჰფარავს 10.596,6, დესეტინა, ე. ი. ეს სივრცე გადიდებულა მთელ 126,5 პროცენტით ექვსიოდე წლის განმავლობაში, თბილისის გუბერნიაში თამბაქოს პლანტაციებს 1913 წ. ეჭირა 707,6 დეს. სამი წლის შემდეგ იმავე კულტურას 1.527,2 დეს. ეჭირა კიდეც, სამი წლის განმავლობაში მაშასადამე, უმატნია მთელი 115.7 პროცენტით. აგეთივე მაგალითს იძლევა ქუთაისის გუბერნიაც.

საქართველოს ყველა კუთხეებში ვრცელდება და ვითარდება მაღალი კულტურის წარმოება. შემდეგში, თუ მთავრობა ამ საქმეს სათანადოთ გაუძღვება, მთელი საქართველო ერთი ვრცელი ბაღნარი იქნება, სადაც ერთგვარათ გაშენებულ იქნება ყოველგვარი საბაღოსნო და საპლანტაციო მცენარეობა. ჩვენს მწარმოებელთა წრეებში დაიბადა აზრი შაქრის ჭარხლის მოშენებისა. ნაადაგი და ჰავა ხელის შემწყობია. კაპიტალიც მზადაა. საჭიროა მხოლოთ გაძღოლა, თაოსნობა, გარანტია თაოსანთათვის, რომ ეს დაწყობილება მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს შესაფერისათ; ყოველ მიზეზს გარეშე თვით სივრცის ნორმის გადიდებაა საჭირო და არა იმ 7 დესეტინით განსაზღვრა.

ჩვენს მწარმოებლებში შესდგა წრე მერძეობის მეურნეობის მოწყობისათვის. აქაც მზათაა კაპიტალი წევრთა პაებით შემდგარი. აქაც არის სათანადო ენერგია, ცოდნა და სიყვარული საქმისადმი, მაგრამ არ არის ის, რაც აკლია ჩვენს ვაჭარ-მრეწველთა და სოფლის მეურნეთ მთავრობის ყურადღება, გულმხურვალე დახმარება, რომელიც უნდა გამოიხატოს საწარმოო იარაღების მიწოდებაში, ინსტრუქტორ-აგრონომების დაგზავნაში და საცად მინდვრების მოწყობაში. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ახალი სისტემის იარაღების ხალხისადმი მიწოდება. მთავრობამ ეს საქმე საჩქაროდ უნდა მოაწყოს. მთელი ორგანიზაცია არსებობს, რომელიც შეიძლებოდა ამ მიზნისთვის გამოეყენებინა მთავრობას—ეს საქონლის გამცვლელი კომიტეტია, რომლის დამოკიდებულება ევროპიულ ქვეყნებთან უმთავრესად ამ სახით უნდა წარმოებდეს, რადგან სასურსათო საკითხი სხვა ორგანიზაციის გადაეცა. თუ სოფელს ჩვენ საკმაოთ მივაწოდებთ ახალ საწარმოო იარაღებს, თესლს და ცოტათი მაინც გაუწევთ ხელმძღვანელობას, სოფელი ქოთნებში დამარხულ ფულს გამოიღებს და ახალ წარმოებაში მოათავსებს. ახალი ხალისი, ახალი ელემენტი შევა სასოფლო მეურნეობაში. ახალი ნივთიერი ელემენტი—იარაღები თუ თესლი, ახალს ფსიხოლოგიურ განწყობილებას წარმოშობს გლეხობაში და სასოფლო მეურნეობა ფრთას გაშლის. მაგრამ მთავრობას შეუძლია სხვა იარაღიც მოიხმაროს სასოფლო მეურნეობის გაკულტურებისათვის. 7—10 დეს. მიწა მაღალ კულტურის გასავრცელებლათ ცოტაა, მაგრამ მაღალ კულტურას არც ისე დიდი სივრცე სჭირდება. თვით ინგლისის ლატიფუნდიები წლიდან-წლამდე ნაწილდება წვრილ საწარმოო ერთეულებათ. აგეთივე მიდრეკილება აქვს ამერიკის სასოფლო მეურნეობასაც; ჩრდილო ამერიკის ზოგიერთ შტატებში ეს მოვლენა განსაკუთრებულის სიცხადით სჩანს: ბამბის რაიონში, სამხრეთ-ატლანტიკის შტატებში უკვე 1850 წლიდან იწყობა ეგ დაქუცმაცება დიდრონ სამეურნეო ერთეულებისა. ჩრდილო ცენტრის შტატებში, რომელიც ბეღელია ამერიკულ პურისა, იგივე მოვლენა საყოველთაო ხასიათს იღებს.

საუცხოვოთ აქვთ აწერილი ეგ პროცესი ამერიკელ ცნობილ ეკონომისტს ელაისს, რომელსაც სავსებით ეთანხმება მეორე ცნობილი მკვლევარი—ფინანსისტი გროუნლენდი.

საფრანგეთიც, როგორც ცნობილია, წვრილ სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. ასე რომ საქართველოც მსოფლიო ეკონომიკის ამ საერთო მიდრეკილებას არ ასცილდება თუ კი თავიდანვე შეუდგა ინტენსიურ წარმოებას. ყოველ მწარმოებელს მაღალ კულტურის მომშენებელს განსაკუთრებითი ყურადღებით უნდა მოეკიდოს მთავრობა, მას მიწა არა თუ არ უნდა წაერთვას, არამედ კიდეც უნდა მიეზომოს სახელმწიფოს ფონდიდგან, თუ ჩვენს მთავრობას სურს, რომ კულტურის მთავრობა იყოს. წინააღმდეგ ამისა, მიწა უნდა ჩამოერთვას იმ მსხვილ მემამულეს, რომელიც თვითონ არ აწარმოებს კულტურულ მეურნეობას და სხვასაც ხელს უშლის. მიწა ეკუთვნის არა მარტო იმას, ვისაც მოთხოვნა შეუძლია, არამედ მიწა უნდა ეკუთვნოდეს მასაც, ვისაც მისი გაკულტურება შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლის მეურნეობას გაველურება ელის!

მთავრობის მოვალეობაა ერთი წლის ვადა მაინც მისცეს იმ მესაკუთრეთ, რომელთაც სურთ თავიანთი მიწა გააკულტუროსნონ. მაღალ კულტურის მიწა არავის არ უნდა ჩამოერთვას. და თუ ნორმა მაინცდამაინც დაწესდა, ის საკმაოდ მაღალი უნდა იქნეს, რომ მაღალ კლულტურის წარმოებას ასპარეზი ჰქონდეს. შეიძლება ალაგ-ალაგ საჭირო გახდეს თითქმის ნორმის გაორკეცება, გასამკეცება, თვით გაათკეცებაც. აგეთი ზომა უებარი წამალი იქნებოდა მაღალ კულტურის დასაჩქარებლად. როდესაც მთავრობის განკარგულება ყველასათვის ცნობილი იქნება, რომ მესაკუთრე ვალდებულია ექვს თვეში შეუდგეს და ერთ წლიწადში დაამთავროს განსაზღვრულ ნორმის ზევით მამულის კულტივაცია ვენახებით, პლანტაჟით, ბაღებით თუ თუთის ხით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მას ელის ნორმაზე მეტი მამულის ჩამორთმევა, ეგ ისეთი სტიმული იქნება მამულის გაშენებისთვის, რომ სულ ცოტა ხანში უმეტესი ნაწილი ეხლა სათოხნავ ადგილებისა, ვენახისა და პლანტებების წალკოტად გადაქცევა. მორცხვად დაწყებული შეერთება მეურნეთა საზოგადოებებში და ამხანაგობებში უფრო გაბედული გახდება, მწარმოებელთა კავშირები ამრიგათ ერთი რომ უსარგებლოდ შენახულ ფულს აამოძრავებს და ბანკებსა და ხაზინაში დააგროვებს და მეორე რომ ახალი იარაღებისა თუ თესლის შეძენით, მეტი შრომის დახარჯვით ახალ სამუშაოებში, ფულს მყიდველ ძალას მისცემს. მის ღირებულებას ასწევს. ფინანსიურის თვალსაზრისითაც ეგ ზომა ძალზედ სასარგებლოა სახელმწიფოსათვის. დაარსება აქციონერულ საზოგადოებათა და ამხანაგობათა სოფლის მეურნეებისაგან, დატოვება შედარებით მაღალი ნორმის მიწისა მაღალ კულტურისათვის განსაზღვრულ ვადის დაცვით, სოფლისადმი მიწოდება ახალი სისტემის იარაღებისა და გაუმჯობესებულ ჯიშის თესლისა,—აი, ის საშური ზომები, რომლის მიღებას დიდი ხანია საჭიროებს ჩვენი ფულით სავსე, მაგრამ ორგანიზაციითა და იარაღებით ღარიბი სოფელი. მეორე მხრივ, ეს ზომა საუკეთესო საქაჩავია სოფლიდან ფულის ნიშნების ამოსაწურად და ხაზინასა თუ ბანკებში დასაგროვებლად.

ტიტე მარგველაშვილი.

ბის განსახორციელებლად დაშნაკცაკანები აღელვებენ სომხის ხალხს საქართველოს წინააღმდეგ და თითქმის აშკარად მოუწოდებენ აჯანყებისაკენ“. („ბორბა“ № 213).

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ასეთი პროვოკაციის წინააღმდეგ მტკიცება და ვაცხადებთ, რომ ჩვენი პრესის პროტესტს მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ ლტოლვილთა საკითხი და არა შემთხვევაში არ გვქონდა, არც გვაქვს და არც გვექნება რაიმე პოლიტიკური მიზნები და ზრახვანი. სომხის სარევოლიუციო პარტია „დაშნაქციუტუნი“ ემსახურება ერთ მიზანს: ყოველნაირად ხელი შეუწყოს დემოკრატიულ წესწყობილების განმტკიცებას.

ამისათვის ჩვენ გადაწყვეტით ვაცხადებთ პროტესტს ყველა იმ ბოროტ პროვოკაციების და ბრალდებების წინააღმდეგ, რომელიც განურჩევლად პარტიობისა მიმართულია ჩვენსკენ ქართული პრესით და საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდანაც.

სომხ. რევ. პარტიის „დაშნაქცუტუნის“ ცენტრალ. კომიტეტი საქართველოში.

თბილისი, 12 გიორგობისთვე 1918 წ.

# რევოლუცია გერმანიაში

## გერმანულ დელეგაციაში

**გადადგა თუ არა ტახტიდან ვილჰელმი.**

ვინაიდან არც გერმანიის ახალ მთავრობის მეთაურის ებერტის მოწოდებაში და არც ერთს დეკრეტში იმპერატორის ტახტიდგან გადადგომის შესახებ არაფერი ნახსენები არ არის, გერმანული დელეგატი თბილისში ფიქრობს რომ, იმპერატორ ვილჰელმმა მხოლოდ დროებით დასტოვა სახელმწიფო საქმეების ხელმძღვანელობა და დამფუძნებელ კრებამდის სახელმწიფოს მეთაურობა სახალხო წარმომადგენლობას გადასცა.

**ახალი მთავრობის შემადგენლობა.**

ახალ მთავრობის სათავეში სამი ზომიერი და სამი დამოუკიდებელი სოციალისტები სდგანან; კანცლერი ებერტი, ზომიერნი: შეიდემანი, ლანცბერტი და დამოუკიდებელნი: ჰააზე, დიტმანი და ბარტი.

ყოფილ კანცლერის მაქს ბადენელის კაბინეტი უცვლელად დარჩა თავის ადგილზედ, ხოლო ყოფილ მინისტრს კონტროლს უწევს ახალი უმაღლესი მთავრობის ერთი დამოუკიდებელი და ერთი ზომიერი სოციალისტი.

## კოვნოს ჯარისკაცთა საბჭოს მოწოდება

კოვნოში შესდგა აღმოსავლეთის ასპარეზის ჯარისკაცთა საბჭო და მოწოდებით მიმართა ჯარის კაცებს, რომ ანარქიის თავიდან ასაცილებლად ყოველი მათგანი უნდა თავის ადგილზე დარჩეს და დაემორჩილოს თავის უფროსების ბრძანებას. დისციპლინის და ჯარისკაცთა და უფროსთა ურთიერთობის წესები ცალკე იქნებიან შემუშავებულნი ჯარისკაცთა საბჭო იმედოვნებს, რომ რევოლუციური შეგნება ჯარისკაცთ ჯარში არ შეუშვებენ ბოლშევიკურ ელემენტებს, რომელნიც სახელს უტეხენ სოციალისტურ მოძღვრებას; საბჭო აცხადებს, რომ იგი სასტიკად შეებრძოლება ბოლშევიკებს.

**ჰინდენბურგი**

ჰიედენბურგმა დეპეშა მიიღო ახალ მთავრობისაგან, რომელშიდაც იგი უბრძანებს მას თავის ადგილზედ დარჩეს და განაგრძოს ჯარების მთავარსარდლობა. ამასთანავე მთავრობა სთხოვს მას მიიღოს ყოველივე ზომები, რათა ჯარის კაცნი ემორჩილებოდნენ თავიანთ უფროსებს და დაიცვას დისციპლინა მათში, ჯარის კაცთა სამსახურიდან დათხოვის დრომდე.

დეპეშას ხელს აწერს ყველა ექვსი მთავრობის მეთაური სოციალისტი.

**მთავრობის ბრძანება ჯარისკაცთა საბჭოებისადმი**

მთავრობამ ბრძანებით მამართა ჯარის კაცთა საბჭოებისადმი, რომ ისინი მოვალენი არიან მხარი დაუჭირონ ოფიცრებს დისციპლინის დამყარებაში და სამშობლოში დაბრუნებისას სრული სიმშვიდე და წესიერება დაიცვან.

ამ ბრძანებას ხელს აწერენ ბერტი და ჰააზე.

**რესპუბლიკა ბავარიაში დ საქსონიაში**

საქსონიაში და ბავარიაში მთავრობები გადადგნენ და ახილი სახალხო მთავრობები შესდგნენ, რომელთაც რესპუბლიკა გამოაცხადეს. ლუდვიგ მესამეს ბავარიელის და ფრიდრიხ საქსონელის ბედის შესახებ არავითარი ცნობები არ არის.

**დროებითი ზავის პირობები**

გერმანიის დელეგაციამ პარიზში დროებითი ზავი ჩამოაგდო შეთანხმების სახელმწიფოებთან და საომარი მოქმედებანი შესწყდა, დროებითი ზავის პირობები გერმანელმა დელეგაციამ თბილისში უკვე მიიღო და მეტად მძიმეა გერმანიისთვის.

პირობები დაახლოვებით ასეთია:

შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარების მიერ უნდა მოხდეს რეინის მთელი მარცხენა ნაპირის ოკუპაცია.

აგრეთვე უნდა გადავიდენ შეთანხმეის სახელმწიფოთა ხელში კილის მარცხენა ნაპირზედ გამაგრებული ციხეები.

კილის მარჯვენა ნაპირის 30 კილომეტრის მანძილი ნეიტრალურ ხაზად უნდა გახდეს.

განთავისუფლება ბელგიისა და ჩრდილო საფრანგეთის.

და რაც ყველაზედ უმძიმესია გერმანიის სანაპიროების ბლოკადა მუდმივი ზავის დამყარებამდის და სამხედრო ფლოტის ნაწილის დაუყონებლივ გადაცემა შეთანხმების სახელმწიფოთათვის.

ამასთან ერთად გერმანიამ უნდი მისცეს შეთანხმების სახელმწიფოთ 150 ათასი რკინის გზის ვაგონები. ამ პუნქტში, უთუოდ ნაგულისხმევია ის ვაგონები, რომელნიც გერმანიამ ომის დროს წამოიღო დაპყრობილ ადგილებიდან, რომელთა რიცხვი უდრიდა საფრანგეთიდან წამოღებული 60 ათასს და ბელგიიდან 90 ათასს.

აგრეთვე გადაიცემა მრავალი რიცხვის ზარბაზნების, ტყვიისმფრქვეველთა და სხვა აუარებელი სამხედრო ქონებისა.

პირობათა მე-9 პუნქტში ნათქვამია აღმოსავლეთიდან გერმანიამ თავის ჯარს უკან უნდა დაახევინოს 1914 წლის 1 აგვისტოს საზღვრებამდე.

ასეთი მძიმე პირობანი ჰგულისხმობენ, რომ მოკავშირეებს ჰსურთ, მოუსპონ გერმანიას წინააღმდეგობის ყოველი საშუალება.

**გერმანიის მთავრობის აზრი ზავის პირობებზედ**

გერმანიის მთავრობამ და სოციალისტებმა მოწოდებით მიჰმართეს საფრანგეთის და ინგლისის სოციალისტებს, რომელშიაც აღნიშნავენ ზავის პირობების აუტანელ სიმძიმეს, განსაკუთრებით სანაპიროების ბლოკადის გამო და იმედს გამოსთქვამენ, რომ საფრანგეთის და ინგლისის სოციალისტები შეეცდებიან აიძულონ თავიანთი მთავრობანი შეამსუბუქონ ეს პირობანი, დარწმუნებულნი იმაში რომ გერმანია მთელის არსებით მოსურნეა მშვიდობიანობის დამყარებისა.

**დროებითი ზავის საკითხი და საქართველო**

დროებითი ზავის მე-9-ე პუნქტის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიამ თავისი ჯარი აღმოსავლეთიდან უნდა გაიყვანოს, ჩვენი თანამშრომელი შეეკითხა პროფ. ცუგმაიერს: ეხება თუ არა ზავის ეს პუნქტი საქართველოში მყოფ გერმანიის ჯარებს?

პროფ. ცუგმაიერმა სთქვა: პირობებში მოხსენებულია, რომ გერმანიამ დასავლეთის ასპარეზიდან ჯარი ორი კვირის განმავლობაში უნდა გაიყვანოს, ხოლო რამდენ ხანში უნდა გამოიყვანოს ჯარი აღმოსავლეთის მხარიდან მოხსენებული არ არის. ეს უთუოდ აიხსნება მით, რომ ეშინია ჯარის გამოყვანით ბოლშევიზმი არ გააძლიერონ იმ მხარეებში, რომლებსაც ეს ჯარები დასტოვებენ და ნაწილობით ჰფიქრობენ მათს შეცვლას შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარებით. ლაპარაკია აგრეთვე, როგორც გერმანიის ისე შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარების შეერთებულ მოქმედებაზედ აღმოსავლეთ მხარეში.

რაც შეეხება საქართველოს ჯერ გამოურკვეველია ეხება მისი საკითხი ამ პუნქტს თუ არა და სავსებით დამოკიდებულია იმაზედ თუ როგორ დამოუკიდებულებას დაიჭერენ მასთან შეთანხმების სახელმწიფონი. ყოველ შემთხვევაში დღეს ღენერალი ფონ-კრესი დეპეშით შეეკითხა გერმანიის მთავრობას, ეხება ზავის ეს მუხლი გერმანიის ჯარის საქართველოში ყოფნას თუ არა და თანაც დასძინა, რომ მათი ყოფნა აქ უსათუოდ სასურველია.

ჩემის აზრით, ბრძანა ბ-ნმა პროფესორმა, გერმანიის ჯარები იძულებულნი იქნებიან წავიდნენ აქედან, ხოლო დიპლომატიური წარმომადგენლობა, რასაკვირველია, დარჩება.

**საქართველოში მყოფი გერმანული ჯარის განწყობილება**

საქართველოში მყოფი გერმანიის ჯარი მეტად მშვიდათ შეხვდა გერმანიიდან მოსულ ამბებს, მხოლოდ დიდი სურვილი აქვთ რაც შეიძლება მალე დაბრუნდნენ სამშობლოში, რაც თავიანთი უნტერ-ოფიცრების პირით თავიანთ ოფიცრებს განუცხადეს და მათ კი ღენერალ ფონ-კრესს.

## ველსის სიტყვა

მოძრაობა ჯარში გამოიწვია პარლამენტის წევრის ველსის სიტყვამ ალექსანდრეს პოლკის ეზოში. მისი სიტყვის შემდეგ პოლკმა დიდძალ ოფიცრებთან ერთად დაადგინა ზემოხსენებული დელეგაცია გაეგზავნა რეიხსტაგში.

**ებერტი და შეიდემანი კანცლერთან.**

შუადღისას სოციალისტები: ებერტი და შეიდემანი გარშემორტყმული სამხედრო ავტომობილით კანცლერთან გაემგზავრნენ და განუცხადეს, რომ გადაწყვეტილია ძალა-უფლება ხელში აიღონ მათ.

**მეზღვაურთა დელეგაცია.**

რეიხსტაგში მოვიდა ახალი დელეგაცია 3,000 მეზღვაურთაგან გამოგზავნილი. მეზღვაურებს კი შუადღის შემდეგ მოელიან ბერლინში. იუწყებიან, რომ ისინი მზად არიან ახალ სახალხო მთავრობას ერთგულება შეჰფიცონ.

**საბჭოთა მოწოდება გაფიცვისათვის.**

გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ფორვერტი“-ს სასწრაფო გამოცემაში დაბეჭდილია: „ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ დაადგინა მოახდინოს საყოველთაო გაფიცვა. მუშაობა ყველგან შეჩერებულია. მცხოვრებთათვის საჭირო სურსათის მოწოდება უნდა გრძელდებოდეს. მეციხოვნე ჯარის უდიდესი ნაწილი ტყვიისმფრქვეველებით და თოფებით თავის ნებით მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს განკარგულებაში გადავიდა. მოძრაობას ხელმძღვანელობს გერმანიის სოც.-დემ. და დამოუკიდ. სოც.-დემ. პარტია. მუშებო და ჯარისკანო, ეცადეთ დაიცვათ სიმშვიდე და წესრიგი. გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო.

**მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები**

გერმანიის სხვა და სხვა კუთხიდან იუწყებიან, რომ მოძრაობა ძლიერდება. საჩქაროდ აარსებენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს, რომელნიც მთავრობასთან მოქმედებენ.

**გაფიცვა**

9 გიორგობისთვეს ბერლინში მომხდარ ამბების გამო ცნობაა: „ამ დღეს, დილის 9 საათზე, ქარხნების მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. პროცესიას, რომელიც განაპირა უბნებიდან ცენტრისკენ გაემგზავრა წინ მიუძღოდა წითელი დროშა და შეიარაღებული ჯარისკაცები. პირველი პროცესია ბრუმენშტრახიდან მოვიდა.

**პაგონების და კოკარდების ახდა**

თავდაპირველად ჯარისკაცებს და ოფიცრებს მოსთხოვეს პაგონების და კოკარდების ახდა. უმრავლესობა ამ წინადადებას დაემორჩილა.

**რუსეთის და გერმანიის რევოლიუციურ წრეებში**

**ბერლინი.** დღითი დღე უფრო ცხადია, რომ რუსეთის ელჩს ბერლინის და გერმანიის რევოლიუციურ წრეებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ და ერთათ მოქმედებდენ. რამოდენიმე ხნის წინად გერმანიის სხვა და სხვა ნაწილში გამოუშვეს ფურცლები, სადაც რევოლიუციისკენ მოუწოდებდენ. ფურცლების ტექსტი იძლევა საბუთს რომ ამ საქმეში რუსეთი ურევია. რუსეთის განსაკუთრებით დაეჭვება ამ საქმეში შეიძლება ორი პროკლამაციით რომელთაც შემდეგი სათაური აქვთ: „აღსდექით მუშებო“ და „ამხანაგო მუშებო“ პროკლამაცია „ამხანაგო მუშებო“ რამოდენიმე ხნის წინად იარაღთან ერთად აღმოაჩინეთ ერთი რევოლიუციონური აგიტატორის 3000 საგიტაციო ფურცელი რომლებსაც მუშებში ავრცელებდნენ სოსინგებში, შტუდჰარტში, დიუსელდორფში და ბერლინში. ასეთი პროკლამაცია აღმოაჩინეთ რუსეთის შათირის ბაგაჟში ძველ პროკლამაციებთან ერთად. „აღსდექ შემოკრბით მუშა ხალხო“, რომელსაც აგრეთვე ფართედ ავრცელებდნენ გერმანიაში. ბერლინში მყოფმა შვეციის ელჩმა განაცხადა, რომ გაზეთების ცნობა, თითქოს შვეცია კისრულობდეს რუსეთის ინტერესების დაცვას გერმანიაში, სიმართლეს მოკლებულიაო.

**სოციალისტურ პარტიის განცხადება**

შაბათს დილით სოციალისტურ პარტიამ განაცხადა, რომ კაბინეტს სტოვებს. ამის შემდეგ სოციალისტებს და დამოუკიდებელ სოციალისტების კომიტეტს სხდომა ჰქონდათ რეიხსტაგში სადაც გამოცხადდენ ბერლინში და მახლობელ ქალაქებში მდგარი სხვა და სხვა პოლკის დელეგატები, რომლებმაც განაცხადეს თავისი უფლება ახალ სახალხო მთავრობის წინაშე. გაზეთ „ფორვერსის“ ბინაზე, გამოცხადდა შეიარაღებული სამასი კაცი, იმ მოსაზრებით, რომ დაიცვან გაზეთი ძველი რეჟიმის მოტრფიალეთა თავდასხმის შესაძლებლობისაგან.

# დროებითი ზავი

## დროებითი ზავის დებულებანი.

გერმანიის პრესა. **ბერლინი**, 11 გიორგობისთვის 10-ს. დილის 10 საათ. სტატს-სეკრეტართა თათბირი შესდგა. დროებითი ზავის დებულებათა გადასინჯვის შემდეგ. დროებითი ზავის პირობები მიიღეს. სამშვიდობო დელეგაციას შესაფერი ცნობები მისცეს, 11 გითრგობისთვეს ღამით ვაშინგტონში სტატს-სეკრეტარ ლანსინგს შემდეგი ნოტა გუგზავნეს: „ბატონო, სტატს-სეკრეტარო, გერმანიის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანიას და ამერიკას საერთო დემოკრატიული მიზნები აქვს. შეერთებულ შტატების პრეზიდენტს გერმანიამ წინადადებით მიმართა მშვიდობიანობა და ზავი აღადგინოს. ზავი უნდა შეეფერებოდეს იმ პრინციპებს, რომელთაც იზიარებდა თვით პრეზიდენტი და რომელიც გულისხმობენ ყველა სადავო საკითხების სამართლიანად გადაჭრას და ხალხთა შორის მტკიცე ზავს. შემდეგ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის ვერ გაბედავდა გერმანიის ხალხთან ომს და რომ მას განზრახვა არა აქვს შეუშალოს გერმანიის ხალხის მშვიდობიანი განვითარებას. გერმანიას მოუვიდა დროებითი ზავის პირობები. 50 თვის ბლოკადის შემდეგ ეს პირობები და განსაკუთრებით სატრანსპორტო ფლოტის გადაცემა მაშინ, როცა ბლოკადა გრძელდება სურსათის მხრივ გერმანიას უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენებს. რამოდენიმე მილიონ მამაკაცის, ქალისა და ბავშვის შიმშილისაგან სიკვდილს გამოიწვევს. ჩვენ იძულებულნი ვართ პირობები მივიღოთ. ჩვენ სერიოზულად მივაქცევთ პრეზ. ვილსონის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამ პირობების ცხოვრებაში გატარება გერმანიის ხალხში გამოიწვევს იმ საწინააღმდეგო გრძნობას, რომელიც შეადგენს აუცილებელ პროლოგს ხალხთა ლიგის დასაარსებლად და სამართლიან ზავის უზრუნველსაყოფად.

ამის გამო გერმანიის ხალხი ამ უკანასკნელ საათში ერთხელ კიდევ მიმართავს პრეზიდენტს დაბეჯითებითი თხოვნით, რომ მან მოკავშირეებთან ერთად გადასინჯოს და გააუმჯობესოს ის პირობები, რომელიც აუტანელი და მძიმეა გერმანიისთვის.

## ჯარის კაცთა საბჭოები

მთავარი ბანაკი ატყობინებს ჯარისკაცთა საბჭოს ჰამბურგში: „ჯარისკაცთა საბჭოები ბრძოლის ველზედაც დაარსდა. საბჭოს დაარსებამ მშვიდობიანად ჩაიარა. ჯარისკაცთა საბჭოს კავშირი აქვს ფელდმარშალ ჰინდერბურგთან და თავის პირობები წარუდგინა მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებთან ერთად.

**მშრომელ ინტელიგენტთა საბჭო**

რეიხსტაგში დაარსდა „მშრომელ ინტელიგენტთა საბჭო“. ინტელიგენტთა საბჭო კულტურულ-პოლიტიკურ იდეალების სასარგებლოდ მუშაობს და მიზნად ისახავს სოციალისტურ რესპუბლიკის დაარსებას.

# საქართველოს პარლამენტში

**12 გიორგობისთვის სხდომა**

**თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე**

სხდომა იხსნება 12 საათზედ. მინისტრთა სკამები ცარიელია.

## კანონპროექტების საბოლოო რედაქცია

თანახმად პარლამენტის წევრის **შალვა ამირეჯიბის** მოხსენებისა პარლამენტი ამტკიცებს საბოლოო რედაქციას წარსულ სხდომებზედ მიღებულ შემდეგ კანონპროექტთა. 1) სახელმწიფო ხაზინის მოწყობის კანონისა 2) სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციის ხარჯთ აღრიცხვისა 3) სათამაშო ქაღალდზედ სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისა 4) გასართობებზედ შესავალ ბილეთების გადასახადის ხაზინის შემოსავლად ჩარიცხვის და ნოემბრის 22-ს კანონის შეცვლის შესახებ.

## კანონპრ. სხვა და სხვა უწყებათა სკოლების, განათლების სამინისტროში გადასვლისა

ერთ ერთს უკანასკნელ სხდომაზედ გადადებულ იქმნა კამათი შესახებ კანონპროექტისა სხვა და სხვა უწყებათა სკოლების განათლების სამინისტროში გადასვლის გამო ამ კანონპროექტით გამონაკლის შეადგენენ მხოლოდ სამეურნო ტიპის სკოლები, რომელნიც სამიწად მომქმედო სამინისტროს გამგებლობაში რჩებიან. წარსულ სხდომაზედ ამ საკითხის გარშემო ცხარე კამათი გაიმართა და უმთავრესად სოციალ დემოკრატები მოითხოვდენ, რომ კანონპროექტი ამ სახით მიეღოთ. სოც.-ფედერალისტები და მემარჯვენე ფრაქციები საჭიროდ სცნობდნენ, რომ ეს სკოლებიც განათლების სამინისტროსათვის გადაეცათ.

კამათი იხსნება **რევაზ გაბაშვილის** (დ. ნ.-დ.) სიტყვით, რომელიც მხარს უჭერს კანონპროექტს იმ შესწორებით, რომ სამეურნეო ტიპის სკოლებიც ჩამოაცალონ სამიწად მომქმედო სამინისტროს.

**შ. ნუცუბიძე** (ს.-ფ.) აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატები მისთვის უჭერენ მხარს კანონპროექტის იმ მუხლს, რომელიც ამბობს, რომ სამეურნეო სკოლები სამიწად-მომქმედო სამინისტროს გადაეცეს, რომ განათლების სამინისტროს სათავეში არა სოციალ-დემოკრატი სდგას. ორატორის აზრით, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ორატორს ლეო ნათაძეს წარსულ სხდომაზედ არც ერთი ისეთი მოსაზრება არ წარმოუდგენია, რომელიც მისაღები ყოფილიყოს. უმთავრესი მოსაზრება ის იყო, რომ ამ სამინისტროს ხელშია საცდელი მინდვრები და ლაბორატორიები, რომლითაც ამ სკოლებმა უნდა ისარგებლონ; მაგრამ თუ ეს სკოლები განათლების სამინისტროს ხელში იქნებიან, რატომ იქნება შეუძლებელი, რომ მან ისარგებლოს მით?

ორატორის აზრით სამიწად-მომქმედო სამინისტრო ვერც უხელმძღვანელებს ამ სკოლებს, რადგან იგი ბუდეა არა ქართველი ელემენტებისა და იქ თავი შეუყრია ისეთს ხალხს, რომელნიც ძალიან შორს არიან მეცნიერებისაგან.

ორატორს მრავალი საბუთები მოყავს და ასახელებს იმ პირთ, რომელნიც აშკარად ილაშქრებენ ქართველების წინააღმდეგ და თანაც იმ საკითხებში არიან სპეციალისტები, რომელთა სათავეშიც სდგანან. ამავე დროს არიან პირნი, როგორც რუსნი, რომელთაც საკმაოდ დიდი სახელი აქვთ მეცნიერებაში და ქართული ორიენტაციისა არიან, როგორც პროფ. ნაკაშინი, ქართველი მეცნიერნი, მაგალითად პროფესორი მელიქიშვილი, ან პროფ. ქურდიანი, რომელიც საუკეთესო სპეციალისტად ითვლება სატყეო საქმისა, რომელთაც არ იწვევენ ამ სამინისტროში, მიუხედავად იმისა, რომ მათ არა ერთხელ განუცხადებიათ სურვილი ამ სამინისტროში მუშაობისა.

კამათის შემდეგ, რომელშიდაც მონაწილეობას იღებენ მ. მაჩაბელი და შ. ქარუმიძე (დამ. ნაც. დემ.). განმარტებით გამოდის **მიწადმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი**, რომელიც ამბობს, რომ მის სამინისტროში არავინ არის ისეთი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყოსო. სამინისტრომ წინადადებით მიმართა აგრეთვე ბ-ნ ნუცუბიძის მიერ ხსენებულ ქართველ მეცნიერებსაც და პროფ. ქურდიანი მოწვეულია კიდეც სატყეო საქმის გამგეთ. ყოვლის გარეშე, მეცნიერებამ არ იცის ეროვნება და მეცნიერისათვის ყველაზე ძვირფასი თავისი საქმეა და ამისთვის სამინისტრო შემდეგშიც მეცნიერთა მოწვევაში ანგარიშს არ გაუწევს იმას, თუ რა ეროვნებისანი იქნებიან ისინი.

**კენჭის ყრა**

კენჭის ყრით კანონპროექტი უცვლელად იქმნა მიღებული. მეორე მუხლის დამატების წინააღმდეგ, რომლითაც სამეურნეო სკოლები სამიწადმოქმედო სამინისტროს გამგებლობაში უნდა დარჩენ, ხმას აძლევენ ეროვნულ დემოკრატები და დამოუკ. ნაც.-დემ. და სოც. ფედ. მომხრეა 21, წინაღმდეგი 48.

## პირველ დაწყებითი სასწავლებლები

**ნ. ცინცაძის** მოხსენებით მიღებულ იქმნა კანონპროექტი პირველ-დაწყებით სასწავლებლების გახსნის შესახებ.

ამ კანონპროექტით თბილისის გუბერნიაში უნდა გაიხსნას [illegible] პირველ-დაწყებითი სკოლა და ახალი კომპლექტი 13 მრავალრიცხოვან სოფლის სკოლები ამ მიზნით განათლების მინისტრს, თანახმად კანონთან დართული ხარჯთ-აღრიცხვისა ეხსნება 131 ათას მანეთის კრედიტი.

## გადასახადი შაქარზედ

ფინანსთა მინისტრის მიერ წარმოდგენილია კანონპროექტი შაქარზედ გადასახადის დაწესებისა. საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დ. თოფურიძე** აცხადებს, რომ კომისია წინააღმდეგია ამ კანონპროექტისა.

## ფინანსთა მინისტრი გიორგი ჟურული

მიუხედავათ იმისა, რომ იგი წინააღმდეგია არა პირდაპირი გადასახადის დაწესებისა, მაგრამ საჭიროდ სცნობს ამ კანონპროექტის მიღებას იმ მოსაზრებით, რომ ხალხში აუარებელი ფულია დაგროვილი და მათი ამოწურვა საჭიროა, რათა საქართველოს ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

თითო მცხოვრებზედ, რომ წელიწადში 7 გირვანქა ვიანგარიშოთ და გირვანქაზედ 1 მანეთი გადასახადი დავაწესოთ, საქართველოს ხაზინას 14 მილიონი შეეძინება. ეს გადასახადი ფაქტიურად უკვე არის შემოღებული და ხალხი მას იღებს და ამ ჟამად საჭიროა მისი დადასტურება პარლამენტის მიერ.

**რ. გაბაშვილი** (დ. ნ. დ.) სასტიკათ წინააღმდეგია ამ კანონპროექტისა და მას სპეკულიაციას უწოდებს. შაქარი პირველ საჭიროების საქონელია და მას ხმარობენ ისეთს ექსტრაქტებში, რომელნიც აუცილებელია ადამიანისათვის. სარგებლობა მითი, რომ ხალხი აუცილებლად გადიხდის ფულს, არის მსჯელობა იმ მოვაჭრის, რომელიც სპეკულიაციას ეწევა და იცის, რომ რამდენიც არ უნდა მოუმატოს ფასი საქონელს, მას უთუოდ იყიდიან. შეუძლებელია შევსება სახელმწიფო ხაზინისა ისეთის საშუალებით, რომელიც დააცალიერებს ხალხის ჯიბეებს. თუ ფიქრობენ, რომ ხალხი აჯანყებას არ მოახდენს, იგი აჯანყებას არ ახდენს მისთვის, რომ არაქათი გამოელია ამ აჯანყებისათვის.

თუ ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა განსაკუთრებულს ზომებს საჭიროებს, ეს ზომები სხვა მხრივ უნდა იყოს მიღებული, მაგრამ ჩვენს ფინანსიურ უწყებაში არავითარი შემოქმედებითი მუშაობა არ სწარმოებს და მან თავი ისახელა მხოლოდ მით, რომ სომხებს მისცა 80 მილიონი.

სამაგიეროდ ფინანსთა მინისტრს საქართველოსთვის არც სომხეთისაგან და არც სხვა სახელმწიფოსაგან ერთი შაურიც არ უშოვია.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო ეს კანონპროექტი უარყოფილი უნდა იქნეს.

**გ. რცხილაძე** (ს. ფ.) წინააღმდეგია ამ კანონპროექტისა და ორატორის აზრით თუ კომისიას დაუბრუნდება იგი, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გამოსძებნონ საშუალება დაუბრუნონ ხალხს ის გადასახადი, რომელიც წინასწარ აულიათ.

## კენჭის ყრა

კენჭის ყრით კანონპროექტი საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დაუბრუნდა ხელახლა გადასაშინჯავათ.

## სახაზინო პალატათა გაუქმება

პეტრე ქავთარაძის მოხსენებით, ერთხმად მიღებულ იქმნა კანონპროექტი შესახებ სახაზინო პალატათა გაუქმებისა და გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს დაარსების შესახებ. ამ კანონპროექტით გაუქმებულ უნდა იქმნენ თბილისისა და ქუთაისის სახაზინო პალატები და დაარსებულ იქმნას თბილისში, სამმართველო გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინისა.

ამ სამმართველოს ევალება რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზედ გადაწყვეტა და წარმოება იმ საქმეებისა რომელნიც მომქმედი კანონებით სახაზინო პალატის მოვალეობას შეადგენდა და აგრეთვე ასრულება გუბერნიის სამმართველოს მოვალეობისა შესახებ აღწერა-შეფასებისა და საჯაროდ გაყიდვისა იმ ქონებათა, რომელზედაც უდაო წესით ასაკრეფი გადასახადებია დარჩენილი.

გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს შესანახად, უნდა გადაიდოს ნოემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 296,200 მანეთი

პარლამენტი უკამათოდ იღებს მთელს კანონპროექტს პირდაპირ გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს დაარსების შესახებ და ხარჯთ-აღრიცხვას მასთან დართულს.

ხარჯთაღრიცხვის პირველ ორ მუხლში შესწორება შეაქვს **რ. ივანიცკის** (ერ.-დემ.), რომლითაც აღნიშნავს, რომ ჯამაგირი ნავარაუდევი სამმართველოს უფროსისა და მის თანაშემწისათვის ძლიერ ნაკლებად უნდა უნდა ჩაითვალოს, რადგანაც თბილისისა და ქუთაისის სახაზინო პალატების გაუქმებითა და ცენტრალურ სამმართველოს დაარსებით მთელი ის მძიმე და რთული საფინანსო და საკრედიტო ფუნქციები დაევალება ფაქტიურად ამ დაწესებულებას და მისი უფროსი უნდა

იყვეს საერთო ხელმძღვანელი და აღმასრულებელიც. ორატორი ამბობს, რომ თვით დამტკიცებულ კანონპროექტიდან ნათლადა სჩანს, რამდენად მრავალმხრივი და სერიოზულია ხსენებული სამმართველოს უფროსის მუშაობა, რომელსაც გარდა იმისა, რომ მთელი რესპუბლიკის გადასახადთა ინსპექტორებს ხაზინისას მეთვალყურობს, უხდება თავმჯდომარეობა უამრავ დაწესებულებებში.

საფინანსო კომისიის გადაწყვეტილება ივანიცკის აზრით არ არის სწორი და საერთო ტრაფარეტული ჯამაგირის დანიშვნა ამ შემთხვევაში შეუწყნარებელია. წარმოდგენილ კანონპროექტით, გადასახადთა სამმართველოს უფროსს ნიშნავს რესპუბლიკის მთავრობა, მაშასადამე, მისი სამსახურის მდგომარეობა დიდმნიშვნელოვანად მიაჩნია სახელმწიფოს. ორატორს შემდეგ რამდენიმე მაგალითი მოჰყავს იმის დასამტკიცებლათ, რომ ზოგიერთ სხვა უფრო დაბალ სახელმწიფო მოსამსახურეებს გაცილებით მეტი სასყიდელი ეძლევათ. თუ ასეთი მცირე ჯამაგირი დავნიშნეთ პირდაპირ გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს უფროსისათვის, რესპუბლიკა ვერ გამონახავს შესაფერ პიროვნებას—სპეციალისტს ამ თანამდებობისათვის. ივანიცკის წინადადება შეაქვს სამმართველოს უფროსს დაენიშნოს წლიურად 16.200 მანეთი, ხოლო მის თანაშემწეს 12.000 მან.

სოც.-დემ. ფრაქციის ორატორი ნ. ცინცაძე წინააღმდეგია ამ შესწორებისა.

წინადადება უარყოფილ იქმნა.

### ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

წარსულ სხდომის ანგარიში **შ. ქარუმიძის** სიტყვაში შემდეგი კორექტურული შეცდომაა: სწერია: **სომხები ეყრდნობოდენ ხომხებზე**; უნდა იყოს: სომხები ეყრდნობოდნენ **რუსებზე**.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

### ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

**სახალხო ლაშქრის შემადგენლობა**

ქ. უფის „ზემლია ი ვოლია" იტყობინება, რომ დამფუძნებელი კრების ლაშქარში ამ ჟამად 520 ათასი ჯარისკაცი და 14 დივიზია ცხენოსანი ჯარისა ირიცხება. ამ რიცხვში არ შედის ჩეხო-სლოვაკების და შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარი. სახალხო ჯარების შორის სრული თანხმობაა.

**ინგლისელები თურანში**

მოსკოვის ცნობებით ამერაბდესთან ინგლისელების 15.000 კაცის რაზმი სდგას, რომელიც სპარსეთიდან და ავღანისტანიდან მოვიდა. ინგლისელების ჯარის და ბოლშევიკების შორის მომხდარ ბრძოლის გამო ხივა მთლად დაინგრა და მშვენიერი ქალაქი უდაბნოს დაემსგავსა. ინგლისელების ჯარი და ბოლშევიკების მოწინააღმდეგე რუს ოფიცრობა სამარკანდში გამაგრდნენ. აქავე ადგილას აგროვებენ თავის ჯარებს ბოლშევიკებიც.

**ამერიკელები მძევლებად**

რუსეთში ამერიკის წითელი ჯვრის უფროსის კოლდველისაგან კიევში ცნობა მიიღეს, რომ ბოლშევიკების მიერ დაპატიმრებული საერთაშორისო წითელი ჯვრის დელეგატები მოსკოვის კრემლში მიიყვანეს და მძევლებად მოათავსეს.

**ჩიჩერინის ნოტა**

ნორვეგიის წარმომადგენელს ჩიჩერინმა ნოტა გადასცა ვილსონისათვის, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ რუსეთი მზადაა მომავალ სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს. შემდეგ ნოტაში ვილსონს ეკითხება თუ როდის გაიყვანენ ამერიკელ ჯარებს მურმანიდან, არხანგელსკიდან და ციმბირიდან და აგრეთვე მიუთითებს იმის შესახებ, რომ ვილსონის ნოტის პროგრამაში არ არის მოთხოვნა ირლანდიის, ეგვიპტის, ინდოეთისა და ფილიპიის კუნძულების განთავისუფლება. დასასრულს ჩიჩერინი გარკვეულ პასუხს მოითხოვს ხომ არა აქვს ერთა მომავალ კავშირს სააქციონერო დაწესებულების ხასიათი რუსეთისაგან დივიდენდის მისაღებად. თუ პასუხი არ იქნა მიღებული, რუსეთი იმ დასკვნამდე მივა, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოების მთავრობათ აზრადა აქვთ რუსეთის ხალხისაგან გადასახადი მიიღონ ფულით და მიწებიც მიითვისონ და ეს მოთხოვნილებანი კი იმდენად მძიმეა, რომ ამის შეტყობინება რუსეთის მთავრობისათვის არა სურთ.

**ფინების მობილიზაცია.**

პეტროგრადში ზინოვიევის და პოზერნას ხელმოწერით გამოიცა ბრძანება ფინეთის მოქალაქეთა ჯარში გაწვევის შესახებ. ჯარში უნდა გაიწვიონ 18—45 წლამდე.

### ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ

**შუამდგომლობა გერმანიის ჯარების უკრაინაში დატოვების შესახებ.**

უკრაინის ელჩმა სოფიაში ესპანეთის მთავრობას მიჰმართა თხოვნით, რათა მან იშუამდგომლოს შეთანხმების სახელმწიფოებისა და ამერიკის წინაშე, რომ გერმანიის ჯარები არ გავიდენ იმ ადგილებიდან, სადაც დღევანდლამდე იმყოფებოდნენ, რადგან გერმანელების ჯარების გაყვანას აუცილებლად მოჰყვება მხარის სრული ეკონომიური განადგურება და გამეფდება ხოცვა-ჟლეტა ბოლშევიკების ტერორისტების მიერ.

მხოლოდ უკრაინის საკუთარი ჯარის მოწყობის შემდეგ შეიძლება გერმანული ჯარების უკრაინიდან გაწვევა.

### ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ

**ირლანდიის დამოუკიდებლობა.**

ირლანდიის მეთაურმა დილანმა ინგლისის პარლამენტს მოსთხოვა, რომ მან იცნოს ირლანდიის დამოუკიდებლობა სამშვიდობო კონგრესის მოწვევამდის.

### ᲓᲝᲜᲘ

**ძველი რეჟიმი ტაგანროგში**

სამხედრო საველე სასამართლოში მიცემის შიშით აღკრძალულია ყოველგვარი პოლიტიკური კრებები. კრებების გამართვა მხოლოდ საოლქო ატამანის ნებართვით შეიძლება.

### ᲧᲣᲑᲐᲜᲘ

**მიწების დაბრუნება კერძო მესაკუთრეთათვის**

ყუბანის მთავრობამ ბრძანება გამოსცა, რომლითაც დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს კერძო საკუთრების მიწები მესაკუთრეთ ან მათ კანონიერ მოიჯარადრეთ.

**ინგლისის თემთა პალატაში**

როგორც „ნ. ფრ. პრეს." იტყობინება ინგლისის თემთა პალატის პარტიებს თათბირი ჰქონდათ გერმანიის საზავო ნოტის შესახებ და ყველა პარტიებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ზავის გადადება არ შეიძლება, თუ ეს ზავი ინგლისისათვის საპატიო ზავი იქნება.

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲐᲨᲗᲔᲑᲘ ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ

ბორჩალოს მაზრა, რომ ძველადგანვე განუყრელი კუთხე იყო საქართველოსი—ამას ამტკიცებს მრავალი ისტორიული საბუთები და ამ კუთხეში ქართველის მკლავით არის გაკეთებული ძველი ნაშთები.

ბოლნისის სიონი, ვრცელი ეკკლესიაა, გაუკეთებიათ მე 5 საუკუნ. ნახევარში. ვახტ. გორგასლანმა ეპისკოპოსი განაწესა, რომელსაც 200 სოფელ ემორჩილებოდა. ეს ტაძარი დღეს უპყრიათ სომხებს.

წუღრუღაშენის ტაძარი, მონასტრები, უგუნბათო, მშვენივრად ნაშენი, კეთილ ადგილას, თარებით. დღეს ხავს-მოდებულია.

დმანისის ტაძარი, კათედრა ტაშირისა, მშვენივრად ნაშენი, უგუნბათო. აქ იჯდა ეპისკოპოსი და იწოდებოდა დმანელად. ეს ტაძარი მაშავრის მდინარეზე ძევს, ორბელიანთ მამულში. ვახ. ორბელიანი მიუძღვნის შემდეგ სტრიქონებს:

„გაჰქრი, დმანისო და დაინთქე უფსკრულსა მიწა,

ჩემს სატანჯავად, რომ არ იდგე ჩემ თვალთა წინა"-ო.

დღეს ეს ტაძარი და მისი მიდამოები ერთ მდიდარ სომხის საკუთრებაა.

წალკის ტაძარი, ტურფად ნაშენი, ძველად იჯდა ეპისკოპოსი, რომელიც განაგებდა ტაშირის და თრიალეთის ქართულ სოფლებს ჯავახეთამდე.

ვარდის უბნის მონასტერი, უგუნბათო, კეთილ ადგილას ნაშენი.

პირღებულად მონასტერი, კლდეში გამოკაფული, დიდი შენობებით შემკული. ვახუშტის დროს, 1740 წ. აქ ქართველთ არქიმანდრიტი მჯდარა. მე-12 საუკ. იგი თამარ მეფემ განაახლა.

ქციის ხეობაზე ორი ტაძარი, ერთი გუნბათიანი, აღაშენა მეფე მირდატმა. შემუსრა ლანგ თემურმა. მეორე მცირე მონასტერი, რომელიც ვახუშტის დროს 1740 წ. იყო „ხუცის აშარ".

ქობერის მონასტერი, შესანიშნავი ტაძარი, 18 საუკ. ეს დღეს სომეხთა საკუთრებაა.

ძელი ჭეშმარიტის მონასტერი, ქართველთაგან ნაშენი, ქართველი მეფეები ძელი ჭეშმარიტის ჯვარზე აფიცებდენ ერეკლეს სამეფოს ერთგულებაზე. დღეს იგი სომეხთა ხელში.

რუსთავის მცირე ეკლესია, რუსთველებისაგან აღშენებული, ალგეთის ხეობაზედ, სოფ. არაშენდის ახლოს. დღემდე სდგას ქართული წარწერებით.

მანგლისის ეკლესია, აღშენებული ბიზანტიის კონსტანტინე იმპერატორის ბრძანებით, შემდეგ აქ დასვეს ეპისკოპოსი. ამ ტაძარში მოტანილი ყოფილა ქრისტეს ჯვრის ფიცარი. შემდეგ საუკუნეში ამ ეკლესიის ერთ კედელზე მაჰმადიც დაჰხატეს. დღეს ეს ტაძარი მთლად სდგას, ქართველნი ხანდახან ჰპატრონობენ. სომეხნი ვერ დაეპატრონენ, მაინც ამ ტაძარის ხეობას სომხური სახელი მისცეს „მანგლა ფორა" (მანგლისის ხეობა.

გუდარეთის მონასტერი, მშვენიერ ადგილას ნაშენი, მრავალ შენობათა ნაშთებიანი, დღეს სასტიკად შემუსვრილია.

კობენის მონასტერი, დედათა სადგომი, ვრცელი, გუნბათიანი, უცხოდ თაკეთი მე-17 საუკ. იგი ტაძარი შაჰაბაზმა ნახევარზე მეტი მოსპო. მერე გუმბა შერი დაეცა და დააქცია.

თელეთის წმ. გიორგის მონასტერი, სახელ-განთქმული. ამ ეკლესიაში დაცული იყო დღემდე წმ. გიორგის ვერცხლის ხატი, შენახული ქართველი მოლოზნისაგან. დღეს იგი ეკლესია უპყრიათ სომხებს.

რუსთავის ტაძარი, იგივე ბოსტანქალაქათ წოდებული, აქ იჯდა რუსთავის ეპისკოპოსი, მე-17 საუკ. იგი შემუსრეს, ამიტომ ეს კათედრა ქართველთ მარტყოფში გადაიტანეს.

ფიტარეტის ტაძარი, შესანიშნავი თავის ხუროთმოძღვრებებით, მხატვრობით და ადგილმდებარეობით.

ტონძის ვრცელი ტაძარი, აღშენებული ვახტანგ გორგასლანისაგან და სამიტროპოლიტო ეკლესიათ დანიშნული. ამის სამწყსოს შეადგენდა რუნონი, გარდაბანი და შერდუჯი, მის მდინარეებით.

ჰუჯაბის მონასტერი, გუნბათიანი, ფართო, დღეს დაქცეული.

ხოჟორნის ეკლესია, გუნბათიანი, ვრცელი ნაშენი. დღეს შემუსვრილია.

ახპატის მონასტერი, ვახტანგ გორგასლანისაგან აღშენებული. ამ ტაძარს სომეხნი დაეპატრონენ მე-14 საუკ., დღეს იგი სომხების საკუთრება არის.

სანაინის მონასტერი, ვახტანგ გორგასლანისაგან აღშენებული და მე-12 საუკ. თამარ მეფისაგან განმშვენებული. მე-12 საუკ. ნახევარს იგი სომხებმა დაიჩემეს, დღეს ესეც მათ უპყრიათ.

**ზაქარია ჭიჭინაძე.**

## „ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲘᲡ" ᲮᲐᲚᲮᲘ

(მცირე ამბავი)

11 გიორგობისთვეს №-ის ქუჩიდან ხოჯევანქზე გაასვენეს ვინმე თბილისელი სომეხი.

განსვენებული ღარიბი იყო და რადგანაც კაპიკი არ დარჩენია მისმა ტოლამხანაგებმა იკისრეს მისი დასაფლავება.

ამხანაგები იყვნენ ქართველები.

მიცვალებულის დედა ტირილში ქართულად ჰლოცავდა და ღმერთს ავედრებდა მათს სიცოცხლეს.

როცა ამხანაგებმა ჭალი აუნთეს, დედამ კიდევ შესტირა ქართულად...

მაგრამ... ტერტერამ დამუქრებით უბრძანა: „ქართულად ნუ სტირიო"!

ცრემლიან ჭირისუფალმა უპასუხა: „რა ვქნა, აქა ვართ აღზრდილები, მე ქართულად მეხერხება და ვის რაში ეკითხება რა ენაზე ვტირიო"?

**ი. მ.**

## ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲖᲐ

ქ. თბილისიდან დარიალამდე 167 ვერსია გზა ამ ჟამად მეტად დაზიანებულია, გაზაფხულის ნიაღვრებისაგან ჩამოწოლილი ქვის და მიწის ნამზღვლეებმა აავსეს გზები და არხები. წვიმის და წყაროს წყლები გზების ლიანდაგზე მიდის. გზატკეცილზედ ქვა-ხვრეშილის ზედაპირი გარეცხილია და ურმები ქვა-კლდეებზე ეხეთქება. მდ. თერგი არაგვი გზებს ძირს ურღვევენ და ყურის მგდებელი არავინ არი. მისამაგრებელი კედლებიც თანისთანობით იქცევა, საგზაო ყაზარმები სადაც მუშა თავს იფარავდა ხალხმა გაძარცვა და დაანგრია. ფანჯრები, ტახტები კარები წაღებულია. ვინმე სომეხი ინჟინერი მთელს ზაფხულში ერთხელ მოვიდა, ქალაქიდან მორეკილი 40 მუშა გზაზე სამუშაოდ დააყენა, მათ ერთი თვე იმუშავეს, დაპირებული ფული და პური ვერ მისცეს და გაიქცნენ.

ზამთარი მოახლოვდა, მთაში დიდი თოვლები იცის, ქარ-ბუქში ზვავები ჩამოწვება და გზა ხანგრძლივ შეიკვრება.

კანონით 200 თვიური მუშა უნდა იდგეს ჯვრის მთიდან სიონამდე და ასეც ჯვრიდან მლეთამდე. მათ უნდა ჰქონდეს ყველა ყაზარმები საწოლი ბინა, შეშა და ფურნეები ორ ადგილას, გუდაურში და ბიდარაზე, პური უნდა სცხვებოდეს მუშისთვის. ყველაფერი ეს წინედ 1-ს გიორგობისთვეს მზათ უნდა ყოფილიყო. დღეს დამზადებული არაფერია, არც ყაზარმები, არც ფქვილი, არც ნავთი და შეშა. უცბად რომ თოვლი დასდოს, სიცივე ამოსწყვეტს, როგორც მუშას ისე მთაზედ ნამწყვდევ მგზავრს. ასეთივე უბედურება დაატყდება თავსა ხევ-მთიულეთის მცხოვრებთ, რადგანაც მთიული 100—90 ვერსის მანძილით პურს ეზიდება ამ გზით და მოხევეც ამავე სივრციდან ანანურ ფასანაურიდან შეშას ეზიდება. თუ ეს გზა მოისპო ზამთრობით ხევი და მთიულეთი დაცარიელდება და განადგურდება. მთიელებს ცხვარი აცხოვრებდა, რომელსაც თერგის ოლქში ჰკრეფავდენ. ცხვარი ბოლშევიკების შიშით იქით აღარ წავიდა, მთავრობის რჩევით მთიელ მოხევეთ და გუდამაყრელთ ყარაიასკენ გარეკეს ფარები. იქ საცხოვრებელი არ აღმოჩენილა და ისევ უკან დაბრუნდენ. შეწუხებულ მეცხვარებმა შემომჩივლეს: ცხვარი უკან მიგვიდის და არ ვიცით რა ვქნათო? სულ ვილუპებითო! ამ დღეში ჩაგვყარესო.

**კალმის-წვერა.**

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

**ლევ პიშნოვის კონცერტი** გაიმართება 16 გიორგობისთვეს კონსერვატორიის დარბაზში. პროგრამაში შედის: ლისტის h-moll"-ური სინატა. ქვლავ, „მეფისტო-ვალსი", „პოლონეზი" და ერთი შესანიშნავი ტრანსკრიპციათაგანი ლისტის—უვერტიურა ვიგნერის „ტანჰეიზერი"-სთვის. ამას გარდა, „კამპანელა". „Jiebstaum" და სხ.

**ფიშბერგის კონცერტი.** დღეს გაიმართება კონსერვატორიის დარბაზში. პროგრამაში შედიან როგორც თანადროული ისე კლასიური ნაწარმოებნი აკკომპანიმენტი ლ. ჰოლდმონის.

**მაჩაბლის ახულის კონცერტი.** 25 გიორგობისთვისთვის დანიშნული თ. მაჩაბლის კონცერტი, რომელიც „ქართულ კლუბში" გაიმართება, საინტერესოდ არის შედგენილი. ლ. სპანიოლი და ა. ბალამანი იმღერებენ რომანსებს და ნეაპოლიტანურ სიმღერებს. იქნება ძველი ციგნური სიმღერებიც.

**ვოკალური ხაღამო.** შაბათს, 16 გიორგობისთვეს, „ქართულ კლუბის" თეატრში გაიმართება პირველი ვოკალური საღამო მ. და ა. კოლოტოვთა საოპერო კლასის.

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს პირველად „ვერტერი" შულგინის, ზალიპსკის და ვრონსკის მონაწილეობით. შაბათს ა) ალეშკოს მონაწილეობით „სოფლის სვინდისი", ბ) ორდას, ბულგინის, კანშინის მონაწილეობით „ჯამბაზები". კვირას, დილით „ფაუსტი", საღამოს „ბატერფლეი" და ბალეტი „მალოროსიული ქორწილი".

### ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

თ. ჭ—ს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

---

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

---

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| " | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| " | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| " | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| " | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:
გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9 11 ს.
მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიულ. სიფილის.ს. 606—914 [illegible] ლით) 11—12 ს.
ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
მ. ნ. იზხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.
ი. ა. ხათრიძე—ბაქტეროლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.
სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

ᲥᲐᲚ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
ᲥᲘᲠ. ᲓᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ
ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑ.
მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲘᲡ
ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐᲡᲘ
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეზხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

ᲛᲐᲠᲢᲘᲡ 20 ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ [illegible]
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტს („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

[illegible]
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—1536—50

ᲔᲥᲘᲛᲘ
Ნ. Ი. ᲓᲔᲛᲔᲢᲠᲐᲫᲔ
იღებს შინაგან და სადოსტაქრო ავადმყოფებს ყოველ დღე 3—6 ს. წყნეთის ქუჩა № 25. (14—1867—1)

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ
ბერლინის უნივერსიტეტისა
Გ. Გ. ᲛᲔᲒᲠᲐᲑᲘᲐᲜᲪᲘ
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, პლევისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ
ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ
(მუდმივი საწოლებით)
ᲔᲥᲘᲛᲘ ᲓᲝᲜᲮᲝᲜᲘᲡᲐ
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ᲔᲥᲘᲛᲘ
Მ. ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ
[illegible]
ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ
ᲐᲚ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲜᲐᲬᲔᲠᲘ
ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ
წინასწრი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში.
(10—10)

კვირას, გიორგობისთვის 17-ს გამოვა
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ
ᲝᲠ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ
„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲫᲐᲚᲐ"
ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ
ჰრედაქტორობს კოლეგია

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.